ეროვნული ბიბლიოთეკა


# ახალგაზრდა ივერიელი

გამოდის 1921 წლიდან

4 მაისი შაბათი 1991 № 51 (11684)

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 10 კაპ.


## სსრ კავშირის პრეზიდენტს ბატონ მ. ს. გორბაჩოვს

## სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრს ბატონ ბ. კ. პუგოს

**ჯავაში,** კვაისაში, თამარაშენში, ხეითში, აჩაბეთში და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სხვა დასახლებულ პუნქტებში მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციისა და დაზარალებულთათვის დახმარების გაწევის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა აპირებს გაგზავნოს იქ პროდუქტები, მედიკამენტები, საშენი მასალები და გაუწიოს სხვა ჰუმანიტარული დახმარება. მაგრამ ცხინვალში, ჯავასა და კვაისაში მიმავალი გზა ჩაკეტილი აქვთ ოს ექსტრემისტებს, რომლებიც არ უშვებენ ავტოკოლონებს თბილისიდან, რაც იწვევს მათ თვითბლოკადას და ქართული სოფლების ბლოკადას. სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარები საკმარის ღონისძიებებს არ ახორციელებენ მდგომარეობის ნორმალიზაციისათვის.

მოვითხოვთ მიიღოთ სასწრაფო ღონისძიებანი დანიშნულებისამებრ ტვირთის მიტანის უზრუნველსაყოფად.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზ. გამსახურდია.**

**საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თ. სიგუა.**

თბილისი. 1991 წლის 2 მაისი.

## 6 მაისს გიორგობაა



ძლევაშემოსილისა და საკვირველთმოქმედის, დიდმოწამე გიორგის აღსრულების დღეა 6 მაისი. წმინდა გიორგის სახელი ქრისტიანისათვის, ყოველი ქართველისათვის ერთ-ერთი უძლიერესი სალოცავია. მას უწოდებენ ბოროტთა დამთრგუნველსა და ტყვეთა გამათავისუფლებელს, ტანჯულთა შემწესა და უძლურთა მკურნალს.

წმინდა გიორგი კაპადოკიაში დაიბადა მესამე საუკუნის მეორე ნახევარში, მდიდარ, ქრისტიანულ ოჯახში. მამამისი მოწამეობრივად აღესრულა, ხოლო დაქვრივებულმა დედამ შვილთან ერთად თავის სამშობლოს — პალესტინას მიაშურა.

ჭაბუკობისას გიორგი რომის ლაშქარში განმწესდა და მალე იმპერატორ დიოკლიტიანეს პირადი მცველი გახდა და მხედართმთავრის წოდებაც მიიღო. დიოკლიტიანე კერპთაყვანისმცემელი იყო და დიდი ბრძოლა გააჩაღა ქრისტიანობის წინააღმდეგ.

გიორგიმ გაათავისუფლა თავისი მონები, ქონება გლახაკებს დაურიგა, სენატში გამოცხადდა და თავი ქრისტიანად აღიარა. დიოკლიტიანე დიდად განარისხა თავისი მხედართმთავრის საქციელმა და საპყრობილეში ჩააგდო. მას ფეხებზე ხუნდები და მკერდზე ლოდი დაადეს. მეორე დილას კი ნაწამები კვლავ იმპერატორთან მიიყვანეს. გიორგიმ მაინც არ უარყო ქრისტიანობა. მაშინ იგი მბრუნავ ბორბალზე დააკრეს, რომლის ქვეშაც წვერბასრი მახვილები იყო. ამ საშინელი წამებისას გიორგიმ უფალს ხმამაღლა უხმო.

მოულოდნელად ჩამობნელდა, ატყდა ჭექა-ქუხილი და ბორბალთან ნათლითმოსილი უფლის ანგელოსი გამოჩნდა, რომელმაც ხელი შეახო მოწამეს და უთხრა: „გიხაროდენ". ამის შემდეგ წმინდა გიორგი სრულიად უვნებელი წამოდგა საწამებელი ბორბლიდან და ღმერთს თაყვანი სცა.

ამის მხილველმა განცვიფრებულმა მეომრებმა იგი იმპერატორთან მიიყვანეს. საიმპერატორო კარის წარმომადგენლებმა, რომლებიც აქამდე მალავდნენ ქრისტიანობას, საჯაროდ აღიარეს იგი და თავის მოკვეთაც დაიმსახურეს. თვით იმპერატორის მეუღლეც — ალექსანდრაც ხმამაღლა ადიდებდა ქრისტეს.

ამის შემდეგ წმინდა გიორგი ღრმა ორმოში ჩააგდეს და თავზე გამოუწვავი კირი დააყარეს, მაგრამ სამი დღის შემდეგ იგი კვლავ უვნებელი იხილეს. შემდეგ ახალი საწამებელი გაუმზადეს, მაგრამ გიორგი ვერ გატეხეს და გადაწყვიტეს სიკვდილით დაესაჯათ. მაგრამ მისი სიკვდილით დასჯის წინ დედოფალმა ალექსანდრამაც საჯაროდ აღიარა ქრისტიანობა. იმ დღეებში 25 ათასი კაცი მოინათლა.

წმინდა გიორგი აღესრულა 303 წლის 23 აპრილს (ძველი სტილით). ეკლესია მოიხსენიებს როგორც მისი აღსასრულის, ისევე მისი წამების დღეს — 10 ნოემბერს.

საქართველოს თითქმის ყველა სოფელში დგას წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია-მონასტრები. იგი ქართველთა ერთ-ერთ ძლიერ წმინდანადაა მიჩნეული და გიორგობის დღესასწაულიც წლის სხვადასხვა დროს აღინიშნება.

შეგვეწიოს უძლეველი წმიდა გიორგი!

## ბრძანება № 340 სრულიად საქართველოს საპატრიარქოს

1991 წლის 30 აპრილი

1991 წლის 29 აპრილს საქართველოში მომხდარ მიწისძვრასთან დაკავშირებით შეიქმნა საპატრიარქოს საგანგებო კომისია შემდეგი შემადგენლობით: სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსი, მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობა, ბათუმ-შემოქმედელი მიტროპოლიტი კონსტანტინე (მელიქიძე) — კომისიის თავმჯდომარე; თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორი, პროტოპრესვიტერი გიორგი გამრეკელი; საქართველოს საპატრიარქოს სამეურნეო განყოფილების თავმჯდომარე, დეკანოზი არჩილ ლაფერაშვილი; საქართველოს საპატრიარქოს სანთლის საამქროს უფროსი, დეკანოზი ტარიელ სიკინჭილაშვილი; საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული საეკლესიო ხუროთმოძღვრების ცენტრის თავმჯდომარე, მღვდელი ირაკლი მახარაძე; საეკლესიო ხუროთმოძღვრების ცენტრის თავმჯდომარის მოადგილე, მღვდელი ბესარიონ მენაბდე; საეკლესიო ხუროთმოძღვრების ცენტრის მთავარი არქიტექტორი, ბატონი არჩილ მინდიაშვილი.

კომისიის წევრებს ევალებათ დაზარალებულ ეპარქიებში ჩასვლა შექმნილი სიტუაციის გაცნობა და სალხის დასახმარებლად და დარღვეული ეკლესია-მონასტრების აღსადგენად კონკრეტული წინადადებების შემუშავება.

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის, გელათის სასულიერო აკადემიის სტუდენტებისაგან შეიქმნა მაშველთა რაზმები დაზარალებულთა დასახმარებლად. სტუდენტებმა და მრევლმა, რომელთაც ხელს უწყობს ჯანმრთელობა და აქვთ სურვილი, სისხლი ჩააბარონ შესაბამის სამედიცინო პუნქტებში.

დაზარალებული ოჯახებისთვის პირველადი დახმარების გაწევის მიზნით საქართველოს საპატრიარქოდან ბანკის სათანადო ანგარიშზე გადარიცხულ იქნას 200000 (ორასი ათასი) მანეთი.

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი**

## მიმართვა ქართველ ერს

### საქართველოს მონარქისტულ (კონსერვატიულ) პარტიას

საუკუნეთა წიაღშიც შეძრულა, აგუგუნებულა მიწა ქართული. დანგრეული ციხე-სიმაგრეები, სამლოცველოები, სოფლები, ქალაქები. ჩამოქცეულა ვარძია, ბაგრატი, ოშკი. მუხლმორთხმით მდგარან უფლის მავედრებელი მლოცველები თავზარდამცემ სიჩუმეში მტერმოძალებულნი. დაუსალიერია ჟამი აღმშენებლობის.

და ისევ აღმოსკდა სამყაროს გრგვინვა-გრიალი ცოდვათა კაცთა ზედა, რათა განვიმტკიცოთ რწმენასა შინა.

ჭეშმარიტად დიდია მწუხარება, დიდია ტკივილი.

ბაგრატიონ-მუხრანელთა საგვარეულო სახლის მეთაური ბაგრატ ბაგრატიონი.

დე ბურბონი,

## ჩემი მეგობარი ნუგზარი

### ანუ

### შტრიხები სტიქიისაგან ივავარქმნილი ოჯახის თავკაცის პორტრეტისათვის



ჩემს ცხოვრებაში პირველად გაიჭიმა გზა ასე უსაშველოდ თბილისიდან საჩხერემდე.

ჩემს ცხოვრებაში პირველად არ მიმიხაროდა საჩხერეში.

არადა ჩემთვის და ჩემი მეგობრებისათვის ზეიმი იყო საჩხერეში ჩასვლა, იქ, რაიონული ცენტრიდან რამდენიმე კილომეტრით დაშორებულ ტიპიურ იმერულ სოფელ ბაჯითში, ჩვენი მეგობრის, ნუგზარ სხრიტლაძის მამა-პაპისეულ სახლში, სადაც ისე გვიხაროდა ყოფნა და ერთმანეთი, იქ, სადაც ერთნაირი სიყვარულით ხვდებოდნენ მეგობარსაც და ავისმოსურნესაც.

●

როგორღაც ისე მოხდა, რომ საჩხერეში ოთხშაბათს საღამომდე ვერ ჩავედი.

საჩხერეში ცენტრშივე იგრძნობოდა მიწისძვრის დამანგრეველი ძალა. — გაპზარულ-გაფლეთილი კედლები, საძირკვლები, დანგრეული, გამოშიგნული სახლები...

პირველად ნუგზარის მეუღლის სახლს მივაშურე. (ბავშვები იქ ჰყავდათ). არაფერი ვიცოდი და ვერც ვერავის ვეკითხებოდი ამბავს.

ეზოში გაპზარული სახლის წინ უწესრიგოდ მიყრილ-მოყრილ ნივთებს მოვკარი თვალი, იქვე სახელდახელოდ გაშლილი კარავი იდგა. პირველად პატარა ნათიამ მომკრა თვალი და ვითომც აქ არაფერიაო, ჩემკენ გამოფარფატდა. იქვე იყო თამილაც, ნუგზარის მეუღლე. სანამ რამეს ვკითხავდი, თვითონ დამასწრო: „ნუ გეშინია, ცოცხლები ვართ, გადავრჩითო!!

მთავარი ეს იყო!

მერე, სული რომ მოვითქვით, მომიყვა რა და როგორ მოხდა:

პირველი ძლიერი ბიძგი რომ ვიგრძენით, მე და ზურიკო ოთახში ვიყავით. მაშინვე ბავშვს ხელი ვტაცე და წინ გავვარდი. მაგრამ ახალმა ბიძგმა ჯერ ტანსაცმლის კარადა, მერე ტელევიზორი და თაროები გადმოაგდო, გზა ჩაიხერგა. ველარ მომიგონია ფანჯარა გავაღე თუ თავისით გაიღო და მე ბავშვიანად გადავხტი ეზოში...

მერე ის მახსოვს, რომ საბავშვო ბაღში გავრბოდი ნათიასთან და ანუკასთან, ნუგზარიც იქ ვნახე...

●

საჩხერიდან ბაჯითისაკენ გავეშურე, უკვე შებინდებული იყო. ციოდა, ციოდა. ქუჩაში მაისის პირველი დღისთვის უჩვეულო სიცივე იგრძნობოდა. გზაზე სულ კა-

(დასასრული მე-2 გვ.)



ეროვნული ბიბლიოთეკა

## სხვა გაზეთებიდან

### თავისუფლება პრესას

როგორც პარიზიდან იტყობინება გაზეთ „პრავდის“ (№ 108) საკუთარი კორესპონდენტი, იუნესკოს გენერალურმა დირექტორმა მაიორმა მოუწოდა მსოფლიოს ყველა ადამიანს დაიცვან პრესის თავისუფლება. დაე, თითოეულმა ჩვენთაგანმა პირადი თუ ერთობლივი ძალისხმევით მიაღწიოს ჟურნალისტი მძევლებისა და პატიმრების გათავისუფლებას; ბეჭდვით სიტყვაზე ეკონომიკური თუ პოლიტიკური მოსაზრებებით დადებული აკრძალვების მოხსნას, რომ ხელისუფალთ შეიგნონ პრესის თავისუფლების უდიდესი მნიშვნელობა მსოფლიოს განვითარებისათვის.

მაიორმა აღნიშნა, რომ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში კვლავ ირღვევა პრესის თავისუფლება. 1990 წელს პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს მოკლეს 40 ჟურნალისტი, თითქმის 200 ციხეში ჩასვეს, რამდენიმე ჟურნალისტი უკვე წლების განმავლობაში ჰყავთ მძევლად და მათი გათავისუფლების იმედი ნელ-ნელა ქრება. მაიორის თქმით, ადამიანთა თვით ყველაზე ელემენტარული უფლებების შელახვას ბევრ ქვეყანაში პრესის ცენზურაც ემატება.

იუნესკოს გენერალური დირექტორი თვლის, რომ პრესის თავისუფლება სულ უფრო მეტად ხდება დემოკრატიის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რადგან განსხვავებული შეხედულებების, ფართო დიალოგისა და ერთმანეთის აზრების პატივისცემის გარეშე დემოკრატია წინ ვერ წავა.

### ვალენსას განცხადება

პოლონეთის პრეზიდენტმა ლეხ ვალენსამ ამერიკულ ტელეკომპანია სი-ენ-ენ-ისათვის მიცემულ ინტერვიუში საბჭოთა კავშირში შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით აღნიშნა: „როგორც პოლიტიკოსმა, მე კარგა ხანია, პირველმა განვაცხადე, რომ საბჭოთა კავშირს ერთადერთი გამოსავალი აქვს — დაიშალოს საკუთარი ინიციატივით. მომავალში საბჭოთა კავშირი იქნებ კიდეც აღდგეს, ოღონდ ისეთ პრინციპებზე, როგორიცაა პლურალიზმი, თავისუფლება და ა. შ. თუ საბჭოთა კავშირი სხვა გზით განაგრძობს სიარულს, მაშინ ის უფრო ღრმად ჩაეფლობა ჩამორჩენილობაში. თუ მას სახელმწიფოდ ყოფნა სურს, უნდა დაემორჩილოს ღლევანდელი მსოფლიოს პრინციპებს, რადგან მათ უარყოფას სერიოზული შედეგები მოჰყვება“ („იზვესტია“, № 102).

### რა ღირს რუსეთის პრეზიდენტის არჩევნები

12 ივნისისათვის დანიშნულ რსფსრ პრეზიდენტის არჩევნების კამპანია 155 მილიონი მანეთი დაჯდება — ეს დაადგინა 27 აპრილს რსფსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა („იზვესტია“ № 102).

29 აპრილს კი „დემოკრატიული რუსეთის“ ლიდერების მოწოდებაზე ათასობით მოსკოველი შეიკრიბა მანეჟის მოედანზე ელცინის მხარდასაჭერად გამართულ მიტინგზე. აქვე დაიწყო რსფსრ პრეზიდენტის პოსტზე ელცინის მხარდასაჭერი ხელმოწერების შეგროვება („კომსომოლსკაია პრავდა“, № 97).

### „ვეხმარები ბატონ პუგოს“

აი, რა მისწერა ყოველკვირეულს („არგუმენტი ი ფაკტი“ № 17) მოსკოველმა მოქალაქემ კ. პობოვმა:

„გაცნობებთ, რომ შინაგან საქმეთა მინისტრმა პუგომ ერთ-ერთ თავის ბოლო გამოსვლაში მშრომელებს მიმართა თხოვნით, დაგვეხმარეთ დანაშაულთან ბრძოლაშიო. მინდა მინისტრს პოტენციური დამნაშავის გამომჟღავნებაში დავეხმარო.

ვარ უმაღლესი კვალიფიკაციის ელექტრიკოსი, მაქვს 20 წლის მუშაობის სტაჟი, ვიღებ 200 მანეთ ხელფასს, ამას ემატება ცოლის 150 მანეთი. მაღაზიების დახლები ცარიელია, ფასები კი იზრდება. მოკლედ, სახეზეა კრიმინოგენური მდგომარეობა.

როგორ ვიცხოვრო, რა ვაჭამო, რით შევმოსო ჩემი შვილები? პროფესია შევიცვალო? შეთავსებით ვიმუშაო? ვმუშაობ ორ სამუშაოზე — 4-4 საათი, 40-40 მანეთად. ასე რომ, 8 საათ სამუშაო დროს კიდევ 8 მიუმატეთ. ამის გამო ჩემი შვილები ფაქტობრივად უმამოდ იზრდებიან.

ბატონო მინისტრო, გამოგიტყდებით და გამუდმებით მიპყრობს აზრი: მეც ხომ არ მოვპარო სახელმწიფოს, რომელიც ამდენი ხანია გვქურდავს მე და ჩემს შვილებს? ერთი ნაბიჯიღა დამრჩა პოტენციურიდან რეალურ მკვლელთა სიაში ჩასაწერად. თქვენ მეტყვით: მერე შიში, ზნეობა და კანონიო? ეს თვისებები კარგა ხანია ჩამიკლა არსებობისათვის ყოველდღიურმა ბრძოლამ.“

### რატომ უფრთხილდებიან ნიშანოვს

სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ახლომდგომი წყაროებიდან ცნობილი გახდა, რომ მინისტრმა ბ. პუგომ ამ ცოტა ხნის წინათ შემდეგი შინაარსის წერილი გაუგზავნა უზბეკეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს: „სსრკ პრეზიდენტის მითითებით წინადადებას გაძლევთ შექმნათ მილიციის პოსტი სსრკ ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის რ. ნიშანოვის სახლთან, ტაშკენტში“ („არგუმენტი ი ფაკტი“, № 17).

უზბეკეთიდან მიღებული ინფორმაციით ნიშანოვს რესპუბლიკაში ორ წელზე მეტი არ უცხოვრია. ტაშკენტის წყნარ უბანში მდებარე სახლში ამჟამად შვილებით ცხოვრობს მისი მეუღლე, რომელსაც უზბეკეთის კულტურის მინისტრის პოსტი უჭირავს.

მეთვალყურენი თვლიან, რომ პრეზიდენტი თავის კოლეგას ყველა სხვა მიზეზთან ერთად იმიტომაც სცემს ესოდენ პატივს, რომ ნიშანოვი ერთ-ერთია იმ რამდენიმე „ნაციონალს“ შორის, ვინც ჯერ კიდევ შემორჩა ქვეყნის ხელმძღვანელობაში.

### ლენინის მუზეუმიდან... ლომბარდამდე

მომხმარებლის ახალ ფორმას სთავაზობს მოსახლეობას ყოფილი მუზეუმი, ამჟამად ულან-ბატორის ლენინის სახელობის პოლიტიკურ-კულტურული ცენტრი. მასთან შექმნილია ლომბარდი, რომელიც ერთ თვეზე ცოტა ნაკლებ დროში უკვე 800 მოქალაქეს მოემსახურა („არგუმენტი ი ფაკტი“, № 17).

### კლიტესაც ჰქონია მახსოვრობა

ფრანგული დასახელების ბრიტანულმა კომპანია „დე ლ რუმ“ დაიწყო კოდირებული კლიტეების სერიული წარმოება. ეს კლიტე ხელით იღება, ოღონდ იმისი ხელით, ვისი თითების ანაბეჭდიც წინასწარ არის ჩადებული კლიტის მახსოვრობაში („არგუმენტი ი ფაკტი“ № 17)

# ჩემი მეგობარი ნუგზარი

(დასასრული)



...რვები იყო გაშლილი, ხალხი ფხიზლობდა, შინ ვერ ბედავდნენ შესვლას. მანქანების ფარების შუქზე სახლების დახეთქილი და ჩამოქცეული კედლები ჩანდა...

დაახლოებით ერთ საათში უკვე ნუგზარის ჭიშკართან ვიდექი. კიდევ მქონდა იმედი, იქნებ... მართალია, თამილამ კი მითხრა, მთლიანად დაინგრაო, მაგრამ მან ეს გადმოცემით იცოდა, თვითონ თავისი თვალით ჯერაც არ ჰქონდა იქაურობა ნახული.

შევაღე ჭიშკარი, ცოტა გავიარე და კაკლის ხესთან შევჩერდი. ნუგზარ სხირტლაძის ორსართულიანი, ძველებური სახლისაგან მხოლოდ წინა კედლის ნაწილი იყო დარჩენილი, მთელი ჩანდა სანახევროდ ღია ცალი კარიც...

გაოგნებული ვიდექი კარგა ხანს, ვერაფრით ვერ დამეკავშირებინა რეალობასთან ყველაფერი ეს. თვალწინ მედგა ის სახლი — ღიმილიანი, სიცოცხლიანი, თბილი, თბილი...

იქვე ჭასთან სახელდახელოდ გაკეთებულ მაგიდასთან ვიღაცეები ისხდნენ. (დილით ვნახე, რომ ეს იმ ცალი კარის წყვილი იყო, ეტყობა, ჩამოხსნეს და მაგიდად გამოიყენეს).

ცოტა ხანს ვიდექი ასე, არავის შევუმჩნევივარ, მერე შორიახლოს ნუგზარმა და მისმა უფროსმა დამ მერიმ ჩაიარეს. შევეხმიანე...

სუფრასთან ქარელიდან იმ დილით ჩამოსული მაშველი რაზმის წევრები ისხდნენ. დილითვე დაეწყოთ მუშაობა სახლის გაწმენდაზე.

ისე ერთგულად დაგვეხმარნენ, ისე გვანუგეშებდნენ, თითქოს თავიანთი მახლობლის სახლი ყოფილიყო, — მითხრა ანიკო დეიდამ, ნუგზარის დედამ. თან წუხდა — მაინც სტუმრები არიან და როგორ ვხვდებითო.

მაშინვე გავესაუბრე რაზმის ხელმძღვანელს, ქარელის 155-ე პროფტექ-სასწავლებლის უფროს ოსტატს თემურ მღებრიშვილს: „ჩვენ მიწისძვრის მეორე დღესვე წამოვედით კოლექტივის ერთსულოვანი გადაწყვეტილებით. დირექტორიც ჩამოგვყვა, მაგრამ მალე გაბრუნდა. რაზმში თოთხმეტნი ვართ, მსურველები კიდევ იყვნენ, მაგრამ სასწავლებელს სულ ხომ ვერ მივატოვებდით. ჩვენთან ერთად მასწავლებლებიც წამოვიდნენ. ნუგზარის სახლში შტაბიდან გამოგვაგზავნეს, ამას რომ მოვრჩებით, ნუგზარის ბიძის სახლს მივხედავთ. მერე თუ მოვასწრებთ, ზევითა მაცხოვრებელთან გადავინაცვლებთ. ბიჭები ძალიან გულით მუშაობენ, ვერავის გამოვყოფ... არც მე დამიძალებია, ულრმესი მადლობა მათ!...

იმ ღამეს გვიან, ასე თერთმეტი საათისათვის ფრანგები ამოვიდნენ ბაჟითში საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების წარმომადგენლის თანხლებით. სუსტი განათების მიუხედავად ვიდეოფირზე გადაიღეს სახლის ნანგრევები, მერე ნუგზარი ბიძამისის შოთა სხირტლაძის სახლში გადაყვათ. ბატონი შოთას მკვიდრად ნაგები ჩუქურთმიანი სახლიც მთლიანად იყო ჩაშლილი, ლამაზი ეზო-კარი გავერანებული.

ფრანგმა მაშველებმა ნუგეშის სიტყვები თქვეს და გაყოლა ითხოვეს — ქვემოთ მანქანაში წამლები და პროდუქტები გვაქვს და გაგატანთო.

ფრანგებს შუკაში დაეტოვებინათ „ტოიოტა“. უკანა საბარგული გავსებული ჰქონდათ პროდუქტებით, მინერალური წყლებით...

სტუმრები თავიანთი ხელით აწყობდნენ ჩანთაში პროდუქტს. ვხედავდი ნუგზარი როგორ წუხდა ამის გამო და რაღაცა ძალიან გამიხარდა, — იგი უბრალოდ ასეთი იყო, მაგრამ ახლა, ამ სიტუაციაში, სამი პატარა ბავშვით ღია ცის ქვეშ დარჩენილი?.. ერთხელ ნოდარ ტაბიძემ თქვა: თუ უდაბნოში მიდიხარ და ერთი კაცი უნდა წაიყვანო, წაიყვანე ნუგზარ სხირტლაძე, იგი თავის წყალს მოგცემს.

●

იმ ღამეს თითქმის არავის გვიძინია. ყველანი ღვთისნიერი მაშველების მიერ ჩამოტანილ კარავში ვიყავით შეყუჟულები. წვიმდა, წყალი ცოტა-ცოტა კარავშიც ატანდა. სამჯერ თუ ოთხჯერ ძლიერად შეირყა მიწა. ერთხელ იმდენად ძლიერად, რომ ვიფიქრე, საცაა გაიხსნება მიწის მბორგავი პირი და სადღაც დავინთქმებითმეთქი.

დილით უთენია წამოვიშალეთ. ციოდა, ცრიდა. მაშველი რაზმის წევრებმა წაიხემსეს და საქმეს შეუდგნენ. ნუგზარი მოკლედ გვაჩვენებდა თუ სად უნდა დაგვედო აქა-იქ სასწაულებრივად გადარჩენილი ფიცრები თუ სხვა საგნები.

რამდენიმე საათს კიდევ დავრჩი იქ, მერე ნუგზარს ბიძამაც სთხოვა, ჩვენც ვურჩიეთ და წამოვედით საჩხერეში, შტაბში უნდა მივსულიყავით — კომისიის წევრთაგან იქნებ ვინმეს ენახა იმ უბანში დანგრეული სახლების მდგომარეობა.

გზაში ჩუმად მოვდიოდით. ერთ ადგილას შემაჩერა ნუგზარმა და უკან მიმახედა, აქედან ყოველთვის ჩანდა მისი და მისი ბიძის ლამაზი სახლები. ახლა ჰორიზონტი ცარიელი იყო...

ცენტრალურ გზაზე მანქანამ გაგვაჩერა. ნუგზარი გაესაუბრა. სთხოვა ჩემი სახლი კი იცით, მაგრამ სხვებისაც ძალიან არის დანგრეული და ნახეთო. ბიჭებმა დაამედეს — ყველაფერი ვიცით და მალე ამოვალთო. საჩხერის ცენტრში დავშორდით ერთმანეთს. ჩვენი სოფლის საკრებულოს ბიჭები იყვნენ, — მითხრა ნუგზარმა.

საჩხერეში თამილასთან მივედით, ბავშვები მოგვეხვივნენ. ღვთისნიერი მეზობლები შეკრებილიყვნენ მის ეზოში. ახალ კარავს ამზადებდნენ... ცოტა ჩვენც მივეხმარეთ. მერე წამოვედი. ნუგზარმა არაფრით არ ქნა, გამომაცილა. გზაში ვეხვეწე — მისულიყო მთავარ შტაბში, არაფერი უთქვამს — იციან და რა საჭიროაო, — ესღა მიპასუხა.

●

აქეთობისას სულ ნანახ-გაგონილი მიტრიალებდა თავში, ისევ მესმოდა მარიამ ბიცოლას ჩუმი მოთქმა ჩამოქცეული სახლის ეზოში: — რისთვის ვიწვალეთ ღმერთო, ამდენი, ერთი ღამე არ გვიძინია მშვიდად, სულ ამ სახლს დავტრიალებდით, ვაკოწიწებდით. რა ვქნათ ახლა, საით წავიდეთ, რა დავუტოვო ჩემს შვილებს...

— ისევ ვხედავდი ნუგზარის გაფითრებულ და მდუმარე სახეს.

**გიგლა გოგეჭია,**
**საჩხერე—თბილისი.**

ჰონორარი გადაირიცხება სტიქიით დაზარალებულთა დახმარების ფონდში.

## გიწვევთ ფოტოკონკურსზე

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სამეცნიერო—საწარმოო გაერთიანება „მემატიანე“ აცხადებს ღია ფოტოკონკურსს თემაზე — „დამოუკიდებელი საქართველოსათვის“.

საკონკურსო ფოტოზე აღბეჭდილი უნდა იყოს ეროვნულ—განმათავისუფლებელი მოძრაობის ამსახველი კადრები (მიტინგები, დემონსტრაციები, გაფიცვები, სხვადასხვა საპროტესტო აქციები, ეროვნული მოძრაობის ლიდერები, საარჩევნო კამპანია, უზენაესი საბჭოს სხდომები და ა. შ.).

საკონკურსოდ წარმოდგენილი უნდა იყოს პოზიტივი, ნეგატივთან ერთად სრულყოფილი ანოტაციით — რაოდენობა 5 ცალი. მასალა ავტორებს უკან არ დაუბრუნდება.

ფოტოკონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მსურველს. გამარჯვებულთათვის დაწესებულია სამი პრემია:

ერთი პირველი პრემია — 500 მანეთი
ორი მეორე პრემია — 300—300 მანეთი
სამი მესამე პრემია — 200—200 მანეთი

ფოტოები წარმოდგენილი უნდა იქნას 1991 წლის 26 მაისამდე გაერთიანება „მემატიანის“ დოკუმენტების გამოყენებისა და პუბლიკაციის განყოფილებაში.

ჩვენი მისამართია: 370060, თბილისი, ვაჟა-ფშაველას პროსპექტი №1.
საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო
სამეცნიერო—საწარმოო გაერთიანება
„მემატიანე“
ტელ: 37-39-13
37-27-05
38-65-29
ფოტოკონკურსისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მიმართვა

## საქართველოს გარეთ მცხოვრებ ქართველებს

**ძვირფასო თანამემამულენო!**

29 აპრილს თავსდამტყდარი სტიქიური უბედურება საქართველომ ისე მიიღო, როგორც მოსალოდნელი რამ, როგორც ერთი ლოგიკური დღე მის მიერ სამკვდრო-სასიცოცხლოდ წამოწყებული ბრძოლისა ისტორიის სამოცდაათწლოვანი საშინელი სიზმრისგან თავის დასახსნელად.

უკანასკნელ წლებში ჭირს ისე მიეჩვია საქართველო, რომ ცრემლიც გაუშრა. ყოველგვარი პანიკა-წიოკობის გარეშე, მშვიდად ისხდნენ ულამაზესი დედები თავიანთი დანგრეული სახლის პარმაღზე ჩვილი ბავშვებით ხელში. მოთქმა-ვაების გარეშე მზრუნველი ჩიფჩიფით არწევდა ჭაღარა ქალი შუა ქუჩაში მიწისძვრას სასწაულებრივად გადარჩენილი შვილიშვილის აკვანს.

მოთმინების ნერვის გაძლიერებისა და ჭირსა შიგან გამაგრებისთვის კიდევ ერთი გამოცდა მოგვიწყო ბუნებამ.

ისე, როგორც მთელი მსოფლიო, იმპერია — სსრკ-ში შემავალი ერებიც დახმარების ხელს გვიწვდიან და ეს ბუნებრივიცაა, რადგან განსაცდელში გვერდით დადგომის მაგალითს ჩვენ ყოველთვის ვიძლეოდით უკეთილშობილესი ქართული ბუნების გამო.

მაგრამ არის ერთი „მაგრამ", რაც ცენტრს მსოფლიოს თვალში არც თუ უანგარო მშველელად აჩენს. მიწისძვრის მეორე დღესვე პროგრამა „ვრემიას" პირით მან ნიშნისმოგებით გამოგვიცხადა, არც ახლა აპირებთ გაფიცვების და ეროვნული დაუმორჩილებლობის შეწყვეტასო?

დიახ, კრემლს სურს სტიქიური უბედურება ჩვენი ეროვნული ბრძოლის შენელების ბერკეტად გამოიყენოს, მაგრამ არ გამოუვა.

საქართველო არჩეული გზიდან უკანდახევას არ აპირებს.

მტერი ჩვენს თვალზე ცრემლს ვერ ნახავს და ჩვენი სულიერი დაძაბუნებით ვერ გაიხარებს.

გთხოვთ, ამ ძნელბედობის დღეებში, მიაწვდინოთ ხმა კეთილი ნების მსოფლიოს ყველა კუნჭულს, რათა გასაჭირში ჩავარდნილ, მაგრამ სულიერად მტკიცე საქართველოს გამოეწოდოს დახმარების ხელი.

ყველამ გვარტომით ქართველმაც და ჰუმანიზმის მილიონობით მსახურმა არაქართველმაც ახლა სტიქიისაგან და იმპერიის დაპყრობითი ომისაგან იავარქმნილი საქართველოს მიმართ თავისი კაცური ვალი უნდა მოიხადოს.

საქართველოს თავის ისტორიის ათასწლეები აქვს გასავლელი და ვალში არავის დარჩება.

**საზოგადოება „თვისტომის" სახელით**

**რევაზ მიშველაძე**

# განცხადება

ა. წ. 6 მაისს დღის 4 საათზე ყოფილ პოლიტგანათლების სახლში (დავით აღმაშენებლის გამზირი № 61) შედგება საქართველოს სახალხო ფრონტის დარბაზის და რეგიონული ორგანიზაციების გამგეობის წევრთა ერთობლივი სხდომა. დასწრება სავალდებულოა. რეგიონურმა ორგანიზაციებმა აუცილებლად უნდა წარმოადგინონ ტერიტორიული და საუბნო-საარჩევნო კომისიებში დასანიშნი წევრების სია სათანადო ფორმით.

**საქართველოს სახალხო ფრონტის სამდივნო.**

# საერთაშორისო ცხოვრება

**თეთრ** სახლში გამოცხადდა, რომ ოთხშაბათს, 8 მაისს, პრეზიდენტი ჯ. ბუში მიიღებს ბალტიისპირეთის სამივე რესპუბლიკის ლიდერს — ლიტვის პრეზიდენტს ვ. ლანდსბერგისს, ლატვიისა და ესტონეთის მთავრობის მეთაურებს ი. გოდმანისსა და ე. სავისაარს, რომლებიც გააცნობენ პრეზიდენტს ბალტიისპირეთში შექმნილ ვითარებას. ერთი დღით ადრე, 7 მაისს, ისინი გამოვლენ ამერიკის კონგრესის ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის კომისიის სხდომაზე, რომელიც ბალტიის ქვეყნების საკითხს განიხილავს. როგორც იცით, შეერთებული შტატები არ ცნობს ამ რესპუბლიკების ანექსიას საბჭოთა კავშირის მიერ 1940 წელს, თუმცა, ჯერჯერობით, თავს იკავებს მათი დამოუკიდებლობის ოფიციალური აღიარებისაგან.

როგორი ხანმოკლეც არ უნდა იყოს ბალტიის ქვეყნების ლიდერთა შეხვედრა ჯ. ბუშთან, მას მაინც დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, მით უმეტეს გორბაჩოვ-ბუშის უმაღლესი დონის შესაძლო შეხვედრის წინ. როგორც ვარაუდობენ, სავსებით შესაძლებელია, რომ ამ შეხვედრაზე ამერიკის მხარე შეეხება ბალტიისპირეთის პრობლემას.

ორშაბათს პრეზიდენტ ბუშს დაგეგმილი აქვს შეხვედრა საბჭოთა კავშირის ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრთან ე. შევარდნაძესთან.

როგორც თეთრი სახლის წარმომადგენელმა მ. ფიცუოტერმა განაცხადა, პრეზიდენტს სურს გაეცნოს ცნობილი საბჭოთა პოლიტიკური მოღვაწის თვალსაზრისს საბჭოთა კავშირში მიმდინარე მოვლენების შესახებ.

●

თეთრ სახლს ჯერ კიდევ არ გადაუწყვეტია, მოითხოვოს თუ არა ერაყისაგან კომპენსაცია ასობით ათასი ქურთი ლტოლვილისათვის დახმარების გაწევის სანაცვლოდ. როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი" იუწყება, აშშ-ს მთავრობას სურს, რომ ერაყმა გადაიხადოს 500 მილიონი დოლარი, რომელიც ლტოვილებისათვის დახმარების გაწევაზე დაიხარჯა. გაზეთი იმოწმებს ერთ-ერთი ამერიკული ოფიციალური პირის განცხადებას, რომლის მტკიცებით, შეერთებული შტატების ადმინისტრაცია შეეცდება დაუკავშიროს ეს საკითხი ერაყის მიერ ნავთობის ექსპორტის განახლებას, რასაც დიდი ხანია მოითხოვს ერაყის მთავრობა და რაც მას აკრძალული აქვს ჯერ კიდევ მოქმედი ეკონომიკური სანქციების გამო. ამ საკითხის გადაწყვეტაში საბოლოო სიტყვა გაეროს უშიშროების საბჭოს სანქციათა კომიტეტს ეკუთვნის.

●

მმართველობის ადგილობრივი ორგანოების არჩევნების შედეგები დიდ ბრიტანეთში მოწმობს, რომ პრემიერ-მინისტრ ჯონ მეიჯერის მმართველი კონსერვატიული პარტია თანდათანობით ჰკარგავს ამომრჩეველთა მხარდაჭერას. როგორც მიმომხილველები მიიჩნევენ, ოპოზიციური პარტიების წარმატებამ უნდა დაარწმუნოს ჯ. მეიჯერი, არ დანიშნოს ვადამდელი საყოველთაო არჩევნები, რომლის ჩატარებას იგი ივნისში ვარაუდობდა.

ხუთშაბათს, ინგლისსა და უელსში ჩატარებული არჩევნები პირველი პოლიტიკური გამოცდა იყო მეიჯერისათვის მას შემდეგ, რაც მან შეცვალა მარგარეტ ტეტჩერი გასული წლის ნოემბერში.

●

ყოფილი აღმოსავლეთ გერმანიის პარტიული და სახელმწიფო ლიდერი ეგონ კრენცი ამტკიცებს, რომ პრეზიდენტ გორბაჩოვისათვის ცნობილი იყო ერიჰ ჰონეკერის ხელისუფლებიდან ჩამოცილების გეგმების შესახებ 1989 წელს. ე. კრენცმა ამის შესახებ განაცხადა ყოფილი აღმოსავლეთ გერმანიის პროფკავშირთა ლიდერის გ. ტიშის სასამართლო პროცესზე, რომელიც ბერლინში მიმდინარეობს. მას ბრალად ედება 100 მილიონი მარკის გაფლანგვა პროფკავშირთა ფონდიდან. კრენცმა თქვა, რომ 1989 წლის 16 ოქტომბერს ტიში მოსკოვს გაემგზავრა, რათა გორბაჩოვისათვის ეცნობებინა ჰონეკერის გადაყენების შესახებ. ორი დღის შემდეგ ჰონეკერი მართლაც ჩამოაცილეს ხელისუფლებას.

**ირინა თევდორაშვილი**

# ქრონიკა

## ინფორმაცია

### დაზარალებულთა დასახმარებლად

არქიტექტურისა და მშენებლობის სამინისტროსთან შეიქმნა მიწისძვრისაგან დაზარალებულთა დახმარების შტაბი. შტაბის თავმჯდომარეა მშენებლობის მინისტრი ბატონი გურამ მირიანაშვილი.

60-მდე საპროექტო ჯგუფი განაწილდა 45 დაზარალებულ სოფელში, მათ დავალებული აქვთ დეფექტური აქტის შედგენა, რაც ნიშნავს ყოველი საცხოვრებელი სახლის აღწერას, (რამდენად ვარგისიანია ისინი საცხოვრებლად).

გარდა ამისა, მშენებლობის სამინისტროსთან შეიქმნა კომუნალური სამსახურის ლაბორატორია, რომელიც შეისწავლის დაზარალებულ რაიონში წყლის ვარგისიანობას.

ყველა დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ დარეკონ ტელეფონებზე:

37-42-76 მინისტრი. 37-17-39 დისპეჩერი.

●

საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტის მინისტრმა ალექსანდრე ჩხეიძემ თქვა, რომ სამინისტროს საწარმოთა მთელი საავტომობილო პარკი მობილიზებულია სტიქიასთან ბრძოლისათვის. უბედურების რაიონებში უკვე დამატებით გაიგზავნა 100 ავტობუსი. 30 აპრილს დილაადრიან საჩხერეში წავიდა პურპროდუქტებით დატვირთული შვიდი ავტომანქანა.

●

30 აპრილს დილის ოთხი საათისათვის, როგორც რესპუბლიკის რკინიგზათა მინისტრის პირველმა მოადგილემ თამაზ შილაკაძემ თქვა, შეიქმნა პირველი მაშველი ბრიგადები შესაბამისი ტექნიკითა და სასურსათო პროდუქტებით. ხუთი საათისათვის ისინი საჩხერეში გაემგზავრნენ. ისინი იქ უკვე მუშაობენ.

ასეთივე ბრიგადები გაიგზავნა აგრეთვე ამბროლაურში, ონსა და ტყიბულში. ამ რაიონებში ბევრი საავტომობილო გზა დაზიანებულია.

●

საქართველოში 29 აპრილს მომხდარი სტიქიური უბედურების გამო საქართველოს ოფიცერთა კორპუსთან შეიქმნა მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო შტაბი. შტაბის უფროსად დანიშნულია თადარიგის პოლკოვნიკი ძაბუნიძე გიზო. იქმნება სამუშაო რაზმები საქართველოში მცხოვრები ოფიცრებისგან.

მუშაობები ჩატარდება ვახტური მეთოდით.

საქართველოში მცხოვრებ ოფიცრებს, რომლებსაც სურვილი აქვთ მიიღონ მონაწილეობა აღდგენითი სამუშაოების შესრულებაში, დაგვიკავშირდნენ მისამართზე: შევჩენკოს ქუჩა № 6 ტელეფონი 98-78-47.

●

ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის პირველმა მოადგილემ ბატონმა მერაბ კვიტაიშვილმა გვითხრა, რომ მძიმედ დაჭრილები უკვე გადაყვანილნი არიან თბილისის, ზესტაფონისა და ქუთაისის საავადმყოფოებში. დაზარალებულ რაიონებში გაგზავნილია ექიმთა 2 ბრიგადა, რომლებიც მსუბუქ დაზიანებებს მკურნალობენ.

დაზარალებულ რაიონებში გაგზავნეს ტოქსიკოლოგების, სანეპიდსამმართველოს მუშაკები.

ტრაგედიის პირველივე დღეს სომხეთიდან ჩამოვიდა ჯგუფი „სპიტაკი", ბელგიიდან — ექიმთა ჯგუფი.

მოსკოვიდან, საქართველოს წარმომადგენლობამ გამოაგზავნა 18 ყუთი პროდუქტი.

30 აპრილს მოსკოვის ექსტრემალური მედიცინის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრის მუშაკები (47 მაშველი და 8 ექიმი) გაემგზავრნენ ქუთაისში, ონში და ამბროლაურში.

მოსკოვის და მოსკოვის ოლქის ბავშვთა ქირურგიის ცენტრის დირექტორმა ლეონიდ როშალმა, რომელიც თბილისში იმყოფება, გამოთქვა ჯავის რაიონში გამგზავრების სურვილი, სამწუხაროდ, მან სამხედროებისაგან უარი მიიღო იმ მოტივით, რომ ჯავაში ამჟამად სადღესასწაულო დღეებია...

ისრაელში მოიწვიეს პარლამენტის სხდომა, სადაც 50 ათასმა ქართველმა ებრაელმა გამოთქვა საქართველოში ჩამოსვლის დიდი სურვილი.

●

საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაციის კულტურის სასახლის ახალგაზრდობასთან მუშაობის განყოფილებასთან შეიქმნა მიწისძვრის შედეგად დაზარალებულთა დახმარების შტაბი, რომელშიც გაერთიანებულია საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაციის სასახლის ახალგაზრდობასთან მუშაობის განყოფილება, საქართველოს ახალგაზრდობის ქრისტიანულ-დემოკრატიული ასოციაცია, საქართველოს ახალგაზრდული კავშირი, საქართველოს თავისუფალი ახალგაზრდობის ასოციაცია.

შტაბი თბილისში მცხოვრებ მოსახლეობას მიმართავს თხოვნით, შეძლებისდაგვარად მატერიალური დახმარება გაუწიოს მიწისძვრით დაზარალებულ თანამემამულეებს.

დახმარების მსურველებს შეუძლიათ დარეკონ ტელეფონებზე: 39-41-71, 39-44-59, 39-17-31.

### იზიარებენ ჩვენს მწუხარებას

უდიდესი გულისტკივილით აღიქვა მთელმა აფხაზმა ხალხმა ცნობა საქართველოს ტერიტორიაზე მომხდარი დამანგრეველი მიწისძვრის ტრაგიკული შედეგების შესახებ. სამძიმარს ვუცხადებთ დაღუპულთა ოჯახებს და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას.

**აფხაზეთის სახალხო ფორუმი „აიდგილარა"**

●

საქართველოს მონარქისტული (კონსერვატიული) პარტია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს და სამძიმარს უცხადებს 29 აპრილს მიწისძვრის შედეგად დაღუპულთა ოჯახებს.

●

### საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს

ადიღეს ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს პრეზიდიუმი, მშრომლები შეძრწუნებული არიან საქართველოს ხალხებისათვის თავს დატეხილი მწუხარების — მიწისძვრის გამო. გულწრფელ სამძიმარს ვუცხადებთ რესპუბლიკის ყველა ხალხს, სტიქიური უბედურების გამო დაზარალებულ ოჯახებს.

**საოლქო საბჭოს თავმჯდომარე ჯარიმოვი**

### დახმარების ფონდში...

სოხუმის სავაჭრო-საზღვაო ნავსადგურის კოლექტივის საერთო კრებაზე გადაწყვიტეს ერთი დღის ხელფასი გადარიცხონ მიწისძვრის შედეგად გაზარალებული საქართველოს რაიონებისათვის დახმარების ფონდში.

●

საქართველოს ახალგაზრდული კავშირის რესპუბლიკურმა ორგანიზაციამ 29 აპრილს მიწისძვრით დაზარალებული რაიონების დახმარების ფონდში გადარიცხა 10 000 მანეთი, ხოლო დასავლეთ საქართველოს რეგიონალურ ორგანიზაციებთან შექმნილი მაშველი რაზმები იმყოფებიან სტიქიით დაზარალებულ რაიონებში.

**საქართველოს ახალგაზრდული კავშირის სათათბირო**

●

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა მიწისძვრით დაზარალებულთა ფონდში გადარიცხეს 2110 მანეთი.

### პროფესიონალიზმმა იხსნა

ქუთაისი, (საქინფორმის სპეც. კორ. მაკა კილაძე და ვასილ ბარნოვი). შვეულმფრენის იმ ეკიპაჟს, რომელსაც ქუთაისის ავიარაზმის მფრინავი ბესო მაისურაძე ხელმძღვანელობს, წარდგენა არ სჭირდება. ეს ის ადამიანები არიან, რომელთაც თავი გამოიჩინეს სვანეთის მთებში სტიქიური მოვლენების დროს. სწორედ ამ ეკიპაჟის მაღალმა პროფესიონალიზმმა იხსნა შვეულმფრენის ეკიპაჟიცა და მგზავრებიც 1 მაისის საღამოს ხუთ საათზე. არადა იმ ვითარებაში, როდესაც „მიგ-8" შვეულმფრენის უკანა ხრახნი ონის რაიონის სოფელ შქმერთან საბაგირო გზის ტროსს გამოედო და ცოტა იყო გადარჩენის შესაძლებლობა, ეკიპაჟმა — ხომალდის მეთაურმა ბესო მაისურაძემ, მფრინავმა გენადი სტრუკოვმა და ბორტმექანიკოსმა მამია გვენცაძემ — მაინც მოახერხეს შვეულმფრენის დასმა. სამწუხაროდ, როგორც ისინი, ისე მათი მგზავრები: — დოკუმენტური ფილმების სტუდიის „მემატიანისა" და ტელერადიოდეპარტამენტის ტელეფილმების სტუდიის ოპერატორები დაშავდნენ. ისინი შქმერიდან სასწრაფოდ გადაიყვანეს ქუთაისის მედსანნაწილში. როგორც მედიკოსებმა საქინფორმის კორესპონდენტებს განუცხადეს, პაციენტები არ არიან მძიმედ დაშავებული. რაც შეეხება კიდევ სამ მგზავრს, მათ შორის ამერიკელ ჟურნალისტს, რომელიც თავის ქართველ კოლეგებთან — თარჯიმანთან და რეჟისორ სოსო ჩხაიძესთან ერთად საქართველოს მთიანეთში დატრიალებული ტრაგედიის მოვლენების გასაშუქებლად იყო ჩამოსული, საბედნიეროდ, არ დაშავებულან.

## შაბათის ნომრის სტუმარი

**ჩვენი კორესპონდენტის კითხვებს უპასუხებს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საერთაშორისო სამართლის საბჭოთა ასოციაციის აღმასკომის წევრი, მსოფლიო საერთაშორისო სამართლის ასოციაციის წევრი, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი ბატონი ლევან ალექსიძე.**

# „კომუნისტური პერსპექტივა აღარ არსებობს...“



**— ბატონო ლევან, რახან ჩვენი ინტერვიუ უნივერსიტეტში შედგა, იქნებ, საუბარიც უმაღლესი განათლებისა და სტუდენტთა სწავლების პრობლემებით დაგვეწყო...**

— საქართველოში უმაღლესი განათლება ყოველთვის იყო ჩვენი საზოგადოების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, მაგრამ, სამწუხაროდ, უკანასკნელ წლებში სწავლამ მიიღო ფუფუნების საგნის სახე. სტუდენტთა უდიდესი ნაწილი სწავლობს არა ცოდნისათვის, არამედ იმისათვის, რომ მიიღოს დიპლომი. არსებობს სამი ხასიათის სტუდენტი: ერთი, რომელიც ბეჯითად სწავლობს, სწყურია ცოდნის მიღება, რამეთუ იცის, რომ დიპლომის გარეშე ვერაფერს მიაღწევს, მაგრამ არც მარტო დიპლომის ქონაა საკმარისი; მეორე, რომელიც სწავლობს იმდენად, რამდენადაც უმაღლესში სწავლა მოდურია, და თან მუშაობის შემთხვევაში ხელფასი შეიძლება დიდად არ განსხვავდებოდეს სტიპენდიისაგან; მესამე, რომელთაც არაფერი არ აინტერესებთ, მაგრამ ყველაფერს აკეთებენ დიპლომის „მოსაპოვებლად“, იციან, რომ ბოლოს მაინც „ჩააწყობენ საქმეს“ და კარგ ადგილზე მოეწყობიან სამუშაოდ. სამწუხაროდ, პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ბევრი ასეთი სტუდენტი, რომელიც წლების მანძილზე არაფრით გამოირჩეოდა, უფრო მაღალ თანამდებობებზე ეწყობა, ვიდრე ფრიადოსანი, მონდომებული ახალგაზრდა, რომელსაც ნაცნობა...

სტუდენტები უნდა მივაჩვიოთ სახლში მუშაობას. მარტო ლექციაზე მიღებული ცოდნა არაა საკმარისი, მას გაღრმავება სჭირდება. ამიტომ, სისტემატურად უნდა მოვითხოვოთ სახლში შესრულებული წერილობითი ნამუშევარი—

...

...რობა, პარლამენტი და უზენაესი სასამართლო. ეს სამი რგოლი იქნება გათანასწორებული.

დემოკრატიული არჩევნების შემდეგ, რომლის ტრადიციაც უკვე გაგვაჩნია, პრეზიდენტს ექნება სრული უფლება განაცხადოს, რომ ის ხალხის მიერაა არჩეული.

ინტერვიუ მიჰყავდა
**ნინო კლარჯეიშვილი**

# „ეჰ! ამერიკა, ამერიკა...“

**საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი „რუსთავი“ საყოველთაო სიყვარულით სარგებლობს, ამიტომ დარწმუნებული ვართ, მის თაყვანისმცემლებს დიდ სიამოვნებას განაცდევინებს ამერიკასა და კანადაში ანსამბლის გასტროლების შთაბეჭდილებები, რომელიც ჩვენი თხოვნით გადმოგვცა ანზორ ერქომაიშვილმა. დღევანდელი პუბლიკაცია მხოლოდ მცირე ნაწილია იმ ვრცელი ჩანაწერებისა, რომლის გამოქვეყნებასაც რამდენიმე ნომერში ვაპირებთ.**

კონცერტი დამთავრდა, დარბაზში სინათლე აინთო, მაყურებელი ფეხზე დგას და ოვაციას უმართავს მსახიობებს. ბევრი მათგანი ცდილობს მიუახლოვდეს ავანსცენას, რომ ახლოდან დაინახოს იმ მომღიმარი გოგო-ბიჭების სახეები, რომლებმაც დღეს დიდი სიამოვნება მიანიჭეს მათ. ყვავილებით გაივსო სცენა, ისმის შეძახილები:

...

ბიან ვენეციისაკენ და, ბუნებრივია, მთელ მსოფლიოში სახელგანთქმულ „სან მარკოს“ მოედანზე ყოველთვის ხალხმრავლობაა, „სან მარკო“ ვენეციის გულია. ამ მოედანზე ყოველგვარი კონცერტები და სხვა სახალხო წარმოდგენები კანონითაა აკრძალული. იმისათვის, რომ მრავალრიცხოვანი მაყურებლის მოთხოვნილება დაეკმაყოფილებინათ, ვენეციის მუნიციპალიტეტმა სპეციალური დადგენილება გამოიტანა, რომ, როგორც გამონაკლისი, „რუსთავის“ კონცერტი „სან მარკოს“ მოედანზე გამართულიყო, ააგეს სპეციალური საკონცერტო ესტრადა. 15 ათასამდე კაცმა მოიყარა თავი. კონცერტი დიდი წარმატებით ჩატარდა, მაგრამ ამაზე აღარ შევჩერდები...

ები დაჟინებით მოითხოვდნენ ანსამბლ „რუსთავს.“ ამ „გულთბილ“ მიწერ-მოწერაში თითქმის ორმა წელმა განვლო. ბოლოს „სახკონცერტმა“ მისცა წერილობითი თანხმობა იმპრესარიოებს, დაიდო კონტრაქტი და ისინიც შეუდგნენ გასტროლების დაგეგმვას.

გასტროლები იმპრესარიოებისაგან დიდ ხარჯებს მოითხოვს: ანსამბლის რეკლამა, ტრანსპორტირება, საკონცერტო დარბაზების და სასტუმროების დაქირავება და სხვა; ყოველივე ეს ძალიან ძვირი ჯდება. როცა იმპრესარიოებმა ყველაფერი მოამზადეს და გასტროლების დაწყებამდე ორი კვირა რჩებოდა, „სახკონცერტმა“ ისევ რაღაც მოიმიზეზა და იმპრესარიოებს უარი უთხრა. მე ამ მოლაპარაკებას დავესწარი და არასოდეს...

...ვერსად ვერ გადადგამდით. ეს არის ორგანიზაცია, რომელიც უმოწყალოდ ჰყვლეფს მსახიობებს და ანსამბლებს).

როდესაც მოსკოვში დავბრუნდით, წერილი უკვე „სახკონცერტ-

სასწრაფოდ დავუკავშირდი ჩვენს მაშინდელ კულტურის მინისტრს, ბატონ ვალერი ასათიანს, ავუხსენი საქმის ვითარება და დახმარება ვთხოვე. მან ყველაფერი გააკეთა, რომ ეს გასტროლი არ ჩაშლილ-




ში“ იდო. ჯორჯ ცუკერმანი დაუკავშირებოდა თავის კოლეგას დონ ჰიუზს აშშ-დან და ერთობლივად გვიწვევდნენ რამდენიმე თვით გასტროლებზე კანადასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. თუ როგორ წარიმართა ამ მიწვევის...

იყო და მთელი ფინანსური ხელშეკრულებები იმპრესარიოებთან საქართველოს კულტურის სამინისტროზე გადავაფორმეთ.

განსაკუთრებით დიდი მისია იტვირთა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ, რომელმაც...

...სიმღერებით. ამ ფირფიტებს აწერია: „გაიყიდოს ყველგან, გარდა საბჭოთა კავშირისა“. როგორც ჩანს, ჩვენი ფული იმათ ჩალადაც არ ულირთ. ჩვენს ჩანაწერებზე იქ დიდი მოთხოვნილება იყო, ისინი კონცერტის დროსვე საკმაოდ ძვირად იყიდებოდა (კასეტების ფასი 15 დოლარი იყო, ხოლო ფირფიტები და კომპაქტური დისკები 25 დოლარი ღირდა. მაისურებიც წარწერით

(დასასრული მე-6 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ეხ! ამერიკა, ამერიკა...“




(დასასრული)

„რუსთავი“ 25 დოლარად იყიდებოდა).

ჩვენი მეორე კონცერტი ქ. კვებეკში გაიმართა. იგი ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქია კანადაში. ქუჩები დახატული გეგონებათ, შენობების ფერთა გამა გამაოგნებელ შთაბეჭდილებას ახდენს. გვიან ღამემდე მუშაობენ რესტორნები, პატარა ბარები, კაფეები და მიუხედავად ცივი ზამთრისა და დიდთოვლობისა, ცხოვრება გვიან ღამემდე არ წყდება.

კვებეკში კონცერტს დიდძალი საზოგადოება დაესწრო. კონცერტის შემდეგ თეატრის ფოიეში ქალაქის მერმა და თეატრის დირექტორმა მიღება მოგვიწყვეს, რომელსაც ანსამბლის წევრების გარდა დაესწრო კვებეკის საუკეთესო საზოგადოება. ისინი გულთბილად მოგვესალმნენ და დიდი მადლობა გადაგვიხადეს კონცერტზე მიღებული სიამოვნებისათვის: „ათი წელია, ჩვენს ქალაქს მსგავსი რამ არ უნახავს — გმადლობთ საქართველოვ“ — თქვა თავის გამოსვლაში ქალაქის მერმა.

ჩვენი მომდევნო გამოსვლები ქალაქ ტორონტოში გაიმართა. ტორონტო კანადის ერთ-ერთი უდიდესი ქალაქია 2,9 მილიონი მცხოვრებით. აქ ერთხელ უკვე გახლდით 1967 წელს, „ექსპო — 67“-ზე, მას შემდეგ ქალაქი თითქმის არ შეცვლილა. საერთოდ უცხოეთში ძალიან დიდი სიფრთხილით ეკიდებიან ქალაქის ძველებური იერის შეცვლას. ჩემი იქ ყოფნის შემდეგ აუგიათ 553 მ. სიმაღლის ტელეანძა. ამ ანძის გადმოსახედიდან საოცარი პანორამა იშლება და ტორონტო ხელისგულივით ჩანს. ვცხოვრობდით შესანიშნავ სასტუმროში, სადაც მთელი ღამის განმავლობაში მუშაობდა ტელევიზიის რამდენიმე არხი. სწორედ იმ დღეებში ტელევიზია გადმოსცემდა აზერბაიჯანის ამბებს, რაზედაც მთელი მსოფლიო შეძრწუნებული იყო. ჩვენ ვნახეთ ისეთი კადრები, რომელსაც, დარწმუნებული ვარ, სსრ კავშირში არ უჩვენებდნენ. მიუხედავად ამისა, კანადისა და ამერიკის მთავრობა თავს იკავებდა ამ ფაქტების კომენტირებაზე.

ტორონტოში კონცერტებზე მოვიდნენ ქართველი ებრაელები. ისინი ჩვეული სითბოთი მოგვესიყვარულნენ, მოგვეფერნენ, საკადრისი სუფრაც გაგვიშალეს და გვითხრეს, რომ ქართულ ტრადიციებს არ ჰკარგავენ, შვილებსაც ქართველებად ზრდიან. კონცერტებზე მოვიდნენ, აგრეთვე, ქართველი სტუდენტები, რომლებიც იქ სტაჟირებას გადიან. მათ უკვე ისე მონატრებიათ სამშობლო, რომ უცრემლოდ ველარ უყურებდნენ კონცერტის თითოეულ ნომერს.

ტორონტოს საკონცერტო დარბაზი ძალიან ლამაზი და მოსახერხებელია. იგი თანამედროვე სტილის ულამაზეს ნაგებობას წარმოადგენს. ფოიეში იდგა უკანასკნელი მოდის თეთრი ამერიკული ავტომანქანა „კრაისლერი“, რომელიც რეკლამას უწევდა თავის ფირმას. მსურველს შეეძლო იქვე შეეძინა ეს მანქანა, თუნდაც განვადებით. კონცერტის შემდეგ ჩვენი ბიჭები დიდხანს უტრიალებდნენ ამ ულამაზეს მანქანას, რომლის მსგავსი, ყოველ შემთხვევაში ჩვენ, არსად გვინახავს.

ტორონტოსთან ახლოს მდებარეობს ნიაგარას ჩანჩქერი. (სიმაღლით 48 მ). ჩვენ ვთხოვეთ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს და მათ სიამოვნებით დაგვათვალიერებინეს ეს საოცარი სანახაობა. ჯერ კიდევ სანამ ნიაგარასთან მივიდოდით რამდენიმე კილომეტრის (მგონი ათი კმ.) დაშორებითაც ისმის წყლის უცნაური გუგუნი. მე მეორედ გახლდით ნიაგარაზე, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც გასაოცარი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. ეს უზარმაზარი წყლის მასა, მდინარე ნიაგარა ეშვება ვერტიკალურად და ქმნის მსოფლიოში ერთ-ერთ უდიდეს ჩანჩქერს (პირველია ვიქტორია სამხრეთ ამერიკაში—120 მეტრი) ჩანჩქერის ახლოს გამაყრუებელი გუგუნია, ხოლო შხეფებისაგან უზარმაზარი ღრუბლის სვეტი ცამდეა ალმართული. ნიაგარაზე რამდენიმე გადასახედია. მათ შორის, ერთ-ერთი ჩანჩქერის ქვეშ, სადაც სპეციალურად გაყვანილია გვირაბი, რომლის ფანჯრიდანაც შენს წინ ვარდება წყლის უზარმაზარი მასა, რომელსაც მართლაც უდიდესი დამანგრეველი ძალა აქვს. ჩვენ დაგვირიგეს ცელოფნებისაგან დამზადებული სპეციალური ლაბადები (შხეფებისაგან რომ არ დავსველდეთ) და დაგვათვალიერებინეს ნიაგარას ჩანჩქერის ყველა გადასახედი. ამ სანახაობამ ჩვენზე მართლა წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. თუმცა სულ სხვაა აქაურობა ზაფხულში. ზამთარში იქ ყველგან ყინულის უზარმაზარი ლოლუები ჰკიდია და შხეფების ღრუბლისაგან მთელი გარემო დაფარულია. ზაფხულში ირგვლივ თვალწარმტაცი სანახაობაა, რომლის მსგავსს ალბათ სხვაგან ვერ ნახავთ. თურმე ნიაგარას ჩანჩქერმა 10-11 მეტრით დაიხია უკან. ჩანჩქერი ორ ნაკადად იყოფა, ერთი უფრო ვიწრო აშშ-ის ტერიტორიაზე მდებარეობს, — (სიმაღლე 51 მეტრი). ორივე ჩანჩქერი გვერდიგვერდაა, ცოტა ქვევით მდინარე ნიაგარაზე ხიდია, რომელიც ყოფს კანადისა და აშშ-ს საზღვარს.

(გაგრძელება იქნება)

**ანზორ ერქომაიშვილი**

# ბრალია შენი სიკვდილი

წელს უკვე მერამდენედ მოადგა შავი ფრინველი სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოებას. მტრის ხელმა გამოგვაცალა მეგობარი, ნათელი, ღიმილიანი, იმედიანი ახალგაზრდა კაცი ოლეგ მწყერაშვილი.

ყველგან იყო, სადაც ქართველ კაცს უჭირდა, დიდი და პატარა საქმე არ იცოდა, თან გადაგვყვებოდა, სულს ამოიღებდა და ჩაგიდგამდა, ეს მთასავით ვაჟკაცი ისე თბილად და ალალად ილიმებოდა, ისეთი გულისხმიერება და სიკეთე ეტყობოდა ხმაში, ერთგვარად მოულოდნელიც მოგეჩვენებოდა იმოდენა კაცისაგან.

ძნელია დაიჯერო, რომ აღარ არის. ისღა დაგვრჩენია, თუში ქალივით დავიტიროთ: „ძმა მომიკლესო — გამირჩიეს წვრილ სანთლებშიით კელაპტარი“.

მსუბუქი იყოს შენთვის მამულის მიწა, რომელიც ასე გიყვარდა... სასახელონი გაიზრდებიან შენი ბიჭი, მისი თანატოლები და სახელიანს მოგიგონებენ...

**სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოება**

გლოვის დღეები უდგას დღეს საქართველოს... ამდენი მსხვერპლი, ამდენი უსახლკაროდ დარჩენილნი შემაძრწუნებელი მიწისძვრის შედეგად... მაგრამ, ქართველი კაცი ყოველთვის ოპტიმისტი იყო და ამიტომაც, დღევანდელ დღეს, ჩვენი საზეიმო ტონი ბევრისთვის მოულოდნელი არ უნდა იყოს. მით უმეტეს, როცა საქმე ეხება ჩვენს სასიქადულო მამულიშვილს, მეოცე საუკუნის ერთ-ერთ უდიდეს მოჭადრაკეს **ნონა გაფრინდაშვილს**. ქალბატონ ნონას გუშინ იუბილე ჰქონდა. საქართველოს ოთხგზის ჩემპიონი, ევროპის ჩემპიონთა თასის ორგზის მფლობელი, საჭადრაკო ოლიმპიადების ათგზის ჩემპიონი და, რაც მთავარია, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი — ეს ყველაფერი ნონა გაფრინდაშვილის ტიტულებია (რა თქმა უნდა, ამას უნდა დავუმატოთ ბრწყინვალე გამარჯვებები ყველაზე მაღალი რეიტინგის მქონე საერთაშორისო ტურნირებზე როგორც ქალებს, ისე ვაჟებს შორის).

ქალბატონი ნონა საჭადრაკო მოღვაწეობის გარდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ფერხულშიცაა ჩაბმული — ორი წლის წინათ ჩვენი სახელოვანი მოჭადრაკე საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველ პრეზიდენტად აირჩიეს. ასეთი პატივი კი მხოლოდ ნონა გაფრინდაშვილის მსგავს ადამიანებს შეიძლება ხვდეთ წილად.

„ახალგაზრდა ივერიელი“ თავის მკითხველთან ერთად ულოცავს ქალბატონ ნონას ამ იუბილეს და უსურვებს ახალ სპორტულ და შემოქმედებით მიღწევებს.



# დღესაც ჩემი კერპია

დიდი ქართველი მოჭადრაკის ნონა გაფრინდაშვილის სახელი პირველად რომ გავიგონე, ჭადრაკი ახალი ნასწავლი მქონდა. მაშინ ქუთაისში ვცხოვრობდი და თამაშის საიდუმლოებას გამოცდილი მწვრთნელის დავით ჩირაძის ხელმძღვანელობით ვეწაფებოდი პიონერთა სახლის ჭადრაკის კაბინეტში.

ერთხელ ბატონმა დავითმა აღსაზრდელებს გვიამბო ნონაზე და მისი რამდენიმე პარტია გვიჩვენა. საუბრის დროს ხშირად შეგვახედებდა ხოლმე მაღლა კედელზე დაკიდებულ ნონას ფოტოსურათზე. ბოლოს ღიმილით გვითხრა: — რომელიც აჯობებთ ნონას, თქვენს სურათს უფრო მაღლა დავკიდებო.

ასე გავიცანი ქალბატონი ნონა და იმ დღიდან იგი ჩემი კერპი გახდა. დედას ვაშოვნინე მისი ფოტოსურათი და ხატივით დავიკიდე ჩემს ოთახში.

ოცნებად გადამექცა ჩემი კერპის პირადი გაცნობა. ეს მხოლოდ თბილისში გადმოსვლის შემდეგ გახდა შესაძლებელი. მართალია, შორიდან ვხედავდი მას, მაგრამ 12 წლის გოგონა გამოლაპარაკებას როგორ გავბედავდი. მალე ბედნიერი შემთხვევა მომეცა.

1973 წლის იანვარში ტელევიზიის საჭადრაკო ჟურნალ „სამორინეს“ არსებობის ხუთი წელი უსრულდებოდა. ჟურნალის წამყვანმა, ცნობილმა საჭადრაკო მიმომხილველმა თენგიზ გიორგაძემ იუბილეს აღსანიშნავად ტელესტუდიაში მიიწვია ნონა გაფრინდაშვილი ერთდროული თამაშის სეანსის გასამართავად ჩვენთან — თბილისის გოგონათა ჩემპიონატის პირველ რვა გამარჯვებულ ნორჩ მოჭადრაკესთან. უსაზღვრო იყო ჩემი სიხარული, როცა ქალბატონ ნონას პირისპირ აღმოვჩნდი. დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობდი. ვცდილობდი, რაც შემეძლო კარგად მეთამაშა. პარტია ამეწყო და მოვიგე. ბედნიერი ვიყავი. მსოფლიოს ჩემპიონმა შემაქო ტელეინტერვიუში. ეს დღე არასოდეს დამავიწყდება.

შემდგომ მუდამ ვგრძნობდი მის ყურადღებას. 1974 წელს საერთაშორისო ოსტატის წოდება რომ მომენიჭა, ნონამ ჟურნალ „განთიადის“ კორესპონდენტს უთხრა: მაია „უდავოდ ძალიან ნიჭიერი გოგონაა. ფიდე ადვილად არავის მიანიჭებს საერთაშორისო ოსტატის წოდებას. მაიამ კი ეს წოდება 13 წლისამ მიიღო, რაც ფიდე-ს არსებობის ნახევარსაუკუნოვან ისტორიაში ერთადერთი, უნიკალური შემთხვევაა. მაიას დიდი მომავალი აქვს. ამიტომ მისგან მსოფლიო რეზონანსის მქონე წარმატებებს მოველით“. ამ სიტყვებმა ფრთა შემასხა და უფრო გამიცხადდა ჩემი მომავალი, რასაც თვით მსოფლიო ჩემპიონი მიწინასწარმეტყველებდა.

აგულიანებული ბევრს ვმეცადინეობდი. მაგალითად ქალბატონი ნონა მყავდა. ამ დროს ჩემი მწვრთნელი იყო გამოცდილი ოსტატი მიხეილ შიშოვი, რომელიც ადრე ნონას წვრთნიდა, დაეხმარა მას მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოპოვებაში. ბატონი მიხეილი ბევრს მიამბობდა ნონაზე, ჭადრაკისადმი მის ერთგულებასა და სიყვარულზე, მოჰყავდა საინტერესო მაგალითები. ყოველივე ეს მიძლიერებდა მისადმი პატივისცემას, მიბიძგებდა უფრო ღრმად დავუფლებოდი სასიქადულო მოჭადრაკის შემოქმედებას, გამეთავისა იგი.

როცა მსოფლიო ჩემპიონობისთვის შეხვედრის უფლება მოვიპოვე, გულწრფელად ვიმეორებდი ერთი და იმავეს, ვიმეორებდი: „ჩემთვის დიდი პატივია ნონა გაფრინდაშვილთან მატჩის თამაში. ნონა მუდამ იყო ჩემი კერპი“. დღესაც ასეა.

მსოფლიო ჩემპიონი რომ გავხდი, მაშინ ვიგრძენი ამ ტიტულის სიმძიმე. იყო ისეთი ჩემპიონი როგორიც ნონაა, დამიჯერეთ, ძალიან ძნელია. იგი მთელი თავით მაღლა იდგა მეტოქეებზე, როგორც თავის დროზე ლეგენდარული ვერა მენჩიკი. რაც დრო გადის, სულ უფრო მძაფრად ვგრძნობ, თუ როგორი სწორუპოვარი ჩემპიონი იყო ნონა. მისი გამეორება შეუძლებელია.

ნონა მაღალი ზნეობის ადამიანია. არის კეთილმოსურნე, სამართლიანი და პირუთვნელი. ეს ყველაფერი მიგრძვნია როგორც მასთან პირად ურთიერთობაში, ისე შეჯიბრებაში ერთად მონაწილეობის დროს. ნონამ იცის ერთგულება და მეგობრობა, რაც ყოველთვის მომხიბვლელია.

ქალბატონმა ნონამ ვაჟებთან თამაშიც გვასწავლა. ბედნიერი ვიყავი, როცა 1978 წელს ბუენოს-აირესში (არგენტინა) დავესწარი ფიდე-ს კონგრესს, სადაც მას, პირველს ქალთაგან, ვაჟთა შორის საერთაშორისო დიდოსტატის წოდება მიანიჭეს. ამ ამბავმა დიდად აგვამაღლა ქართველი ქალები მსოფლიოს საჭადრაკო საზოგადოებრიობის თვალში.

მეამაყება, რომ ნონა ახლაც მქომაგობს. ამას წინათ ჩემმა მწვრთნელებმა მიამბეს, როგორ უსაყვედურა მათ, ნოვი-სადის ოლიმპიადაზე რამდენიმეჯერ უხეიროდ რომ გავითამაშე დებიუტი. „მე მაიას გულშემატკივარი ვარ. მეტი მონდომებით იმუშავეთ. საქართველოდან არ უნდა წავიდეს მსოფლიო ჩემპიონის ტიტული. გახსოვდეთ ეს“, უთქვამს ქალბატონ ნონას.

ნონა გაფრინდაშვილი დღესაც მსოფლიო საჭადრაკო ელიტის მშვენებაა. იგი ნებისმიერი დიდოსტატისათვის კვლავ ძლიერი და მრისხანე მეტოქეა. მასთან თამაში არავისთვის ადვილი არ არის, რადგან დაუცხრომელია გამარჯვებისკენ ლტოლვაში. მის შემოქმედებას ამკობს დიდი ენერგია, ერუდიცია და ცხოვრებისეული სიბრძნე.

ჩვენ, მოჭადრაკე ქალებს, დიდად გვეამაყება, რომ ნონა გაფრინდაშვილი საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტია. იგი ჭეშმარიტად თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეა.

მე, როგორც ჩემმა კოლეგა ქართველმა დიდოსტატებმა, დიდი სიამოვნებით მივიღე ნონა გაფრინდაშვილის საიუბილეო ტურნირში მონაწილეობის მიწვევა. დარწმუნებული ვარ, რომ ეს შეჯიბრება ქართული ჭადრაკის ზეიმად იქცევა.

ვულოცავ ქალბატონ ნონას მის ცხოვრებაში ღირსსახსოვარ თარიღს და ვუსურვებ სიკეთეს, ბედნიერებას და ახალ წარმატებებს ჩვენი საფიცარი საქართველოს სასახელოდ!

ღმერთი იყოს მისი მფარველი.

**მაია ჩიბურდანიძე**
მოსკოვი, 30 აპრილი.

# პიროვნული და შემოქმედებითი სიდიდე

თბილისის რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი მიმდინარეობდა.

მოსწავლის ფორმაში გამოწყობილმა 13 წლის ბაფთიანმა გოგონამ — ნონა გაფრინდაშვილმა მრავალ საბჭოთა და უცხოელ მოჭადრაკე ქალთან ერთად დაამარცხა ცნობილი რუსი ოსტატი ტიხომიროვა და პირველი ადგილი დაიკავა. ნონას უფრო ადრეულ ასაკშიც ჰქონდა მსგავსი გამარჯვებები მოპოვებული. რუსი ქალბატონი დამარცხებას მტკივნეულად განიცდიდა და ნერვიულობდა. ფოიეში ტიხომიროვას ვილაც ამშვიდებდა, ანუგეშებდა — ნუ ღელავთ, თქვენ არც პირველი ხართ და არც უკანასკნელი, ვინც ამ გოგონამ დაამარცხაო. მახსოვს ტიხომიროვას პასუხი — გოგონას ჩემთვის არ მოუგია, პარტია მე წავაგეო!... ტიხომიროვა დამარცხებას საკუთარი მოულოდნელი შეცდომით ხსნიდა. ამ საუბარს ჩემთან ერთად ესწრებოდა ცნობილი საჭადრაკო მიმომხილველი გივი გამრეკელი. ჩვენ ორივეს გაგველიმა. თავისთავში დაჯერებული ბევრი ცნობილი ოსტატი თუ დიდოსტატი ტიხომიროვას მსგავსად იმ დროს ნონასთან დამარცხებას შემთხვევითობით ხსნიდა და ღვთის მიერ ნაბოძებ მის უზარმაზარი ნიჭის მაგიურ შესაძლებლობას ვერ აცნობიერებდნენ. ნონამ ხუთგზის აიძულა მსოფლიო ჭადრაკის კორიფეები „სამეფო ტახტისათვის“ ბრძოლაში ფარხმალი დაეყარათ და ერწმუნათ მისი ხელშეუხებლობა.

ნონა საჭადრაკო სამყაროში ისეთივე უნიკალური მოვლენა გახლდათ, როგორც მიხეილ მესხი ფეხბურთში. თუ ნონა თავის დიდ ტალანტს საჭადრაკო დაფასთან საკუთარი სურვილისამებრ წარმართავდა, ფეხბურთის სპეციფიკის გამო (ფეხბურთი ხომ კოლექტიური თამაშია) მიშას ზოგჯერ უთანასწორო ბრძოლაც უხდებოდა. იგი ხომ ხშირად ქვეყნის ნაკრების შემადგენლობაში ერთდროულად მოწინააღმდეგესაც და თავის პარტნიორებსაც ებრძოდა (მათგან ბურთი რომ მიეღო). მჯერა, ნონა მიშა მესხის ფენომენალურმა ნიჭმა გახადა ფეხბურთის გულშემატკივარი. მათ უნდა „ეცნოთ“ ერთმანეთი, და იცვნეს კიდეც. ამის დასტური გახლდათ ის თბილი სიტყვები, რომლითაც მან ამ ცოტა ხნის წინ ქართული ფეხბურთის ვირტუოზი სიცოცხლის უკანასკნელ გზაზე გააცილა.

თამარ მეფისა და ქეთევან დედოფლის სამშობლოში არ შეიძლება ქართველი ქალის გონიერება და ნიჭიერება ვინმეს გაუკვირდეს, მაგრამ მამაკაცების ინიციატივით შექმნილ პრაგმატისტულ საუკუნეში მდედრის ინტელექტით და პიროვნული ძალით გამჟღავნებული ერის სულიერი ენერგია, რომელიც თავის ქვეყანას დიდების გვირგვინად დაადგება, მაინც განსაკუთრებული მოვლენაა.

დღეს ეს გვირგვინი ნონა გაფრინდაშვილის სამშობლოს ადგას მის და მის ტალანტთა ძალისხმევით.

გულით ვულოცავ ქალბატონ ნონას საიუბილეო თარიღს და ვუსურვებ თავისუფალ საქართველოში ყველა ოცნების ასრულებას.

**ელგუჯა ამაშუკელი**



# ნონა გაფრინდაშვილის საიუბილეო ტურნირი

**დღეს,** 4 მაისს თბილისის ჭადრაკის სასახლეში სტარტს აიღებს სახელმოხვეჭილი(?) ქართველი მოჭადრაკის — ნონა გაფრინდაშვილის საიუბილეო ტურნირი.

ბრძოლაში ჩაებმება ყველა ქართველი დიდოსტატი ქალი — თვით იუბილარი ნონა გაფრინდაშვილი, მსოფლიო ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე, აგრეთვე ნანა იოსელიანი, ნინო გურიელი, ქეთევან არახამია და ქეთევან კახიანი. ვაჟებიდან იასპარეზებენ პირველი ქართველი დიდოსტატი ბუხუტი გურგენიძე, დიდოსტატები გენადი ზაიჩიკი, ლაშა ჯანჯღავა, საერთაშორისო ოსტატები ზურაბ სტურუა, გია გიორგაძე და იგორ ეფიმოვი. როგორც ხედავთ, ჩვენს დიდოსტატ ვაჟთა დასს აკლია თამაზ გიორგაძე, ელიზბარ უბილავა და ედუარდ გუფელდი. ისინი ამჟამად არ არიან საქართველოში.

საიუბილეო ტურნირი 22 მაისამდე გასტანს. შეჯიბრების მთავარი მსაჯია გამოჩენილი იუგოსლაველი დიდოსტატი მილუნკა ლაზარევიჩი.

●

**მალე ჭადრაკის მოყვარულები მიიღებენ თენგიზ გიორგაძის ახალ წიგნს „ქართული ჭადრაკის ხიბლი(?)“, რომელიც ნონა გაფრინდაშვილის ცხოვრება-შემოქმედებას და საზოგადო მოღვაწეობას ეძღვნება.**

**გთავაზობთ ამ წიგნიდან ნაწყვეტს მცირე შემოკლებებით.**

1954 წლის ცხელი ივლისი იდგა. ვახტანგ ქარსელაძემ დამირეკა და მთხოვა მივსულიყავი მასთან პიონერთა სასახლეში — მოდი და გაგაცნობ იმ ზუგდიდელ მოჭადრაკე გოგონას, შენთან ბევრჯერ რომ მიქიაო.

იმ დღეებში თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში საქართველოს გოგონათა პირველობა მიმდინარეობდა.

სასახლეში რომ მივედი, ვახტანგმა დიდ დარბაზში გამიყვანა, სადაც მოჭადრაკეები თამაშობდნენ. შორიდან დამანახა პატარა, მოსწავლის ფორმაში გამოწყობილი ბაფთიანი გოგონა — აი, ისაა ნონა გაფრინდაშვილიო. შევედი, მოთამაშე გოგონებს ჩამოვუარე. ნონას მაგიდასთან რომ შევჩერდი, მის დაფაზე პოზიციას დავხედე. ჩემს იქ ყოფნაში ნონამ მოსაწონი სვლა გააკეთა. ვახტანგს ეს რომ ვუთხარი, სახე გაებადრა.

— ხომ გეუბნებოდი, ნიჭიერია, მომავალი მსოფლიო ჩემპიონი!

ეჭვის თვალით შევხედე და გავუღიმე. ვახტანგი ემოციური კაცი იყო, ზოგჯერ გადაჭარბებულად აქებდა თავის მოწაფეებს.

— არც შენ გჯერა, ხომ? გავა დრო და დარწმუნდები, რომ მართალი ვიყავი, — მითხრა თითქოს განაწყენებულმა.

მისი სიტყვები გამართლდა. შემდგომაც ბევრჯერ ვირწმუნე ჩემი მეგობრის „მისნობის“ ძალა. 1962 წელს ვახტანგმა თავისი ახალი მოწაფე, ცამეტი წლის ნანა ალექსანდრია გამაცნო და მეც მაშინვე დავუჯერე, რომ ეს გოგონა „მეორე ნონა“ იყო. დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდა იგი რომან ჯინჯიხაშვილსაც, რომელიც ახლა საერთაშორისო დიდოსტატია და ამერიკაში ცხოვრობს.

აი, ასე გავიცანი ჩვენი ნონა.

●

თვითონ ვახტანგ ქარსელაძემ ნონა 1953 წლის ზაფხულში გაიცნო ბათუმში, მოსწავლეთა რესპუბლიკურ პირველობაზე. 12 წლის გოგონა ზუგდიდის ნაკრებში თამაშობდა. ვახტანგი თბილისის გუნდს თავკაცობდა, მაგრამ როგორც მწვრთნელი, ყველას თამაშს გულდასმით აკვირდებოდა. შეჯიბრებაში ასზე მეტი ნორჩი მოჭადრაკე მონაწილეობდა.

ნონას იქ თითქმის არაფრით არ გამოუჩენია თავი, მაგრამ გამოცდილმა პედაგოგმა მაინც მაშინვე გამოარჩია იგი. შევამჩნიე, რომ მახვილი თვალი და პოზიციის შეფასების თავისებური უნარი ჰქონდა, მიამბობდა ვახტანგი. მაშინვე დაიჟინა: ნონა თბილისში უნდა გადმოვაყვანინო და მეცადინეობა დავაწყებინოო. მშობლებსაც შეუთვალა ეს.

1954 წლის სექტემბერში ნონა უკვე თბილისში ცხოვრობდა — ტატიანა და დიმიტრი ჯაბუების ოჯახში (ქალბატონი ტატიანა მისი დეიდა იყო). სწავლა 62-ე საშუალო სკოლაში განაგრძო.

ნონა იხსენებს:

— სანამ ვახტანგ ქარსელაძე მომაქცევდა ყურადღებას, მანამდე დეიდასა და ბიძას ბევრჯერ უნდოდა ჩემი გადმოყვანა თბილისში სწორედ ჭადრაკის გამო, მაგრამ მშობლებს ეძნელებოდათ ერთადერთი ქალიშვილის გაშვება. მხოლოდ მწვრთნელის დაინტერესების შემდეგ დათანხმდნენ თბილისში ჩემს გადმოსვლაზე.

●

— გვიმძიმდა ნონას თბილისში გაშვება — ერთადერთი ნანატრი ქალიშვილი მყავდა ოთხი ბიჭის შემდეგ. ბოლოს გონიერებამ, შვილის სიკეთის სურვილმა დამძლია. ვიცოდი, ტატიანა და დიმიტრი მას არაფერს მოაკლებდნენ, — მიამბობდა ნონას მამა, ბატონი ტერენტი.

ნონა დაიბადა 1941 წლის 3 მაისს, ზუგდიდში, მასწავლებელ ტერენტი გაფრინდაშვილისა და ვერა გრიგოლიას ოჯახში. იგი მეხუთე შვილი იყო. მერე მეექვსეც გაჩნდა (კიდევ ერთი ქალიშვილი მინდოდა, იხსენებდა ბატონი ტერენტი, მაგრამ ისევ ვაჟი შეგვეძინაო). ბავშვების აღზრდას მძიმე დროში მოუსწრო — დიდმა ომმა. მრავალშვილიანი ოჯახის დაპურება ადვილი როდი იყო. მზრუნველი მამა, ეს პატარა, სუსტი აგებულების კაცი ჯარასავით ტრიალებდა. მან და მისმა მეუღლემ, ბავშვების საყვარელი ბებიის ქალბატონ ქიონიას დახმარებით ასე წვალებით გამოატარეს ოჯახი იმ საშინელ დროში.

ტერენტი გაფრინდაშვილის ოჯახში პირველად 1956 წლის ზაფხულში მოვხვდი, როცა ზუგდიდში ჩავედი მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ანდრია დადიანის არქივზე სამუშაოდ. პატარა ეზოში ერთსართულიანი, დაბალჭერიანი ხის სახლი ედგათ. აქ დაფრთიანდნენ ნონა და მისი ძმები — ემზარი, თამაზი, ჯემალი, მურადი და ნუგზარი. ბავშვებს მშობლების და საყვარელი ბებია ქიონიას დიდი რიდი და ხათრი ჰქონდათ. მათ თავიდანვე უნერგავდნენ უფროსის პატივისცემას, გულწრფელობას, პატიოსნებას, ერთმანეთის თანადგომას, სწავლისადმი ერთგულებას და სამშობლოს, საქართველოს სიყვარულს. ეს ყოველივე მათ მთელი სიცოცხლე მოჰყვებათ.

... ჭადრაკი მათთვის უფროს ძმას ემზარს უსწავლებია. ძმებმა მერე ხუთი წლის ნონასაც ასწავლეს ჭადრაკი. სწორედ მათი თაოსნობით მოხვდა ნონა ზუგდიდის ნაკრებში, რომელიც 1953 წლის ზაფხულში ბათუმში მოსწავლეთა რესპუბლიკურ პირველობაში მონაწილეობდა.

— ნონა თავიდანვე შევიამხანაგეთ, — მიამბობდა ჯემალი, — მოსწონდა ჩვენთან თამაში. კრავივით უკან დაგვდევდა. ფეხბურთისაც ხშირად ვათამაშებდით. კარში დგომა არავის გვიყვარდა, ამიტომ მეკარეობას ნონას ვანდობდით. მეტოქეები გამეტებით ურტყამდნენ ბურთს, გოგონაა და ვერ აილებსო, მაგრამ ისინი არ იცნობდნენ ნონას. თამაშის შემდეგ ნონას ხელისგულები სულ დაწითლებული ჰქონდა. ცხადია, დედას ვუმალავდით ამას.

ბატონი ტერენტი იმერელი კაცი იყო, ჭიათურის რაიონის სოფელ მუქრუთიდან. თბილისში სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი დაამთავრა. ცოტა ხანს მშობლიურ კუთხეში მუშაობდა აგრონომად. შემდეგ ფოთში გადავიდა სამუშაოდ. აქ გაიცნო და ცოლად შეირთო ტექნიკუმის სტუდენტი ვერა გრიგოლია. ახალშექმნილმა ოჯახმა მალე ზუგდიდში, ქალბატონ ვერას მამისეულ ეზო-გარემოში დაიდო ბინა. ბატონმა ტერენტიმ მასწავლებლად დაიწყო მუშაობა ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში. მერე მის დირექტორად დანიშნეს. მან ბევრი კარგი სპეციალისტი აღუზარდა ქართულ სოფელს. დაუფასდა კიდეც შრომა — საქართველოს სკოლის დამსახურებული მასწავლებლის წოდება მიანიჭეს.

შვილებმა გაამართლეს მშობლების ზრუნვა-ამაგი. ყველანი ჩვენი საზოგადოების ღირსეული წევრები გახდნენ: ემზარი — ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი (ჭადრაკში ოსტატობის კანდიდატი, მონაწილეობდა საქართველოს 1956 წლის ჩემპიონატში), თამაზი, მურადი, და ნუგზარი — ინჟინრები, კარგი სპეციალისტები. ჯემალი სამართალდამცველი ორგანოების მუშაკი იყო (იგი 1988 წელს გარდაიცვალა). ყველამ შექმნა ოჯახი, ჰყავთ შვილები და შვილიშვილები.

გაფრინდაშვილებს საფიცარ ხატად ჰყავთ ერთადერთი და, რომელსაც ძმების სიყვარული და თანადგომა არასოდეს მოჰკლებია.

●

თითქმის ორ წელიწადს გაგრძელდა ვახტანგ ქარსელაძისა და ნონას შემოქმედებითი ურთიერთობა.

ვახტანგ ქარსელაძე (1919-1966) ღრმად განათლებული კაცი იყო. აინტერესებდა ლიტერატურა, მუსიკა, განსაკუთრებით საქართველოს მდიდარი წარსული. ომი რომ დაიწყო, თბილისის უნივერსიტეტში სწავლობდა მათემატიკის ფაკულტეტზე. მან გამოიარა ფრონტი, ტყვეობაც. ჯანგატეხილი დაბრუნდა შინ. ჭადრაკს სკოლის მერხიდან თამაშობდა. ახლა კვლავ გაიხსენა. ბოლოს სწორედ ჭადრაკის სიყვარულმა გადაძალა და ყველაფერს თბილისის მოსწავლეთა სასახლის ჭადრაკის კაბინეტის მასწავლებლობა ამჯობინა.

ვახტანგს ღრმად სწამდა ქართველი ქალის ნიჭიერება, მისი შესაძლებლობა, დიდად აფასებდა მის კდემამოსილებას, შრომისმოყვარეობასა და მამულიშვილობას. ფიქრობდა, რომ ეს ყველაფერი სრულფასოვნად გამოჩნდებოდა ჭადრაკში.

ახლა მოვუსმინოთ თვით ნონას: „ვახტანგ მასწავლებლის მთავარი დამახასიათებელი თვისება იყო საოცარი სიყვარული ბავშვებისადმი, თავისი მოწაფეებისადმი, ვისთვისაც არც დროს ზოგავდა, არც ძალასა და ჯანმრთელობას. ...მისი, როგორც პედაგოგის, ერთ-ერთი მთავარი ღირსება ის იყო, რომ ცდილობდა განევითარებინა ჩვენში დამოუკიდებელი საჭადრაკო აზროვნება და უნარი, არ დაგვეკარგა რწმენა ყველაზე რთულ და, რაც მთავარია, უცხო ვითარებაშიც. იგი არ მოითხოვდა ჭეშმარიტების დაზეპირებას, არამედ სურდა ჩავწვდომოდით მის იდუმალ აზრს — აი, რისი მიღწევა უნდოდა მას ჩვენგან, და, პირველ ყოვლისა, ამისთვის მისი განსაკუთრებული მადლობელი ვარ“. იგი „დამეხმარა ფეხზე დადგომასა და საკუთარი გზით სიარულში“.

გულმოდგინე მეცადინეობამ მალე გამოიღო ნაყოფი: ნონამ თბილისის ქალთა 1955 წლის პირველობაში მეორე ადგილი დაიკავა, მერე რიგაში მოსწავლეთა საკავშირო გუნდურ პირველობაში ისახელა თავი. კიდევ უფრო თვალსაჩინო წარმატება მოიპოვა მან 1956 წელს, როცა ჯერ თბილისის, მერე საქართველოს ჩემპიონი გახდა ქალთა შორის. ბოლო ტურნირში, რომელშიც რესპუბლიკის ყველა უძლიერეს მოჭადრაკესთან ერთად მოსკოველი ოსტატები ოლგა იგნატიევა (ამჟამად საერთაშორისო დიდოსტატი) და ნინა ვოიცეკი მონაწილეობდნენ, ნონამ 16 შეხვედრაში 15,5 ქულა დააგროვა.

ეს გამარჯვება დაემთხვა ნონას დაბადების 15 წლისთავს. დეიდა ტატიანას ოჯახში გამართულ მეგობრულ ვახშამზე ვახტანგი ხუმრობდა: ნონამ თხუთმეტი პარტიის მოგებით აღნიშნა თავისი იუბილეო! საბჭოთა კავშირის ქალთა XVI ჩემპიონატის ნახევარფინალის საგზური მართლაც კარგი საჩუქარი იყო.

აი, ასე გავიდა ნონა დიდი ჭადრაკის შარაგზაზე.

●

საბჭოთა კავშირის ქალთა XVI ჩემპიონატის ნახევარფინალს თბილისმა უმასპინძლა 1956 წლის ივნისში. ორგანიზატორებმა შეჯიბრებისათვის შოთა რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზი შეარჩიეს, მაგრამ მან მაინც ვერ დააკმაყოფილა თამაშზე დასწრების ყველა მსურველი.

თბილისელებს გულთან ახლოს მიჰქონდათ თავიანთი კერპის ყოველი წარმატება. ფინიში მოახლოვდა. ნონას ნახვისა და გაცნობის მსურველთა რიცხვი თანდათან იზრდებოდა. ეს კი ფიზიკურად შეუძლებელი იყო. ამიტომ ნონა შინ მილიციის თანხლებით ბრუნდებოდა. ერთხელაც ვიღაც მანდილოსანს დაუნახავს ნონა მილიციელთა გარემოცვაში. სინანულით უკითხავს: ნეტავ რა დაუშავა ამ პატარა გოგონამო?

ნონამ ამჯერადაც გაახარა თაყვანისმცემლები. ბრწყინვალე თამაშით პირველი ადგილი დაიკავა და ჩემპიონატის ფინალის საგზური დაისაკუთრა.

**ამ მასალების ჰონორარი გადაირიცხება სტიქიით დაზარალებულთა დახმარების ფონდში.**

# ალორძინება არგო

გვერდის ხარჯები არიან საქველმოქმედო ასოციაცია „ალორძინება“ და ამავე [illegible] ფირმა „არგო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მცირე სახელმწიფო საწარმო „ბიზნეს-ინფორმატიკა“

სპეციალისტს, ხელმძღვანელს, კომერსანტს, მოსამსახურეს, რომელსაც არ შეუძლია თანამედროვე კომპიუტერზე მუშაობა, არ უნდა ჰქონდეს წარმატებითი მოღვაწეობის იმედი სამეურნეო, კომერციულ, საკონსტრუქტორო თუ სამეცნიერო სარბიელზე. ასეთია დღევანდელი სინამდვილე, ხვალ ეს მოთხოვნა უფრო გამკაცრდება.

მცირე სახელმწიფო საწარმო (მსს) „ბიზნეს-ინფორმატიკა“, რომლის დამფუძნებელია სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტი, სთავაზობს ყველას თანამედროვე IBM PC/XT-AT-ის ტიპის კომპიუტერთან მუშაობის შესწავლის მოკლევადიან კურსებს.

კურსები განსაზღვრულია სხვადასხვა წინასწარი მომზადების მქონე მსმენელისათვის: დაწყებული ახალბედებიდან, დამთავრებული სოლიდური მომზადების მქონე მომხმარებლებით.

მსმენელთა ჯგუფები მცირერიცხოვანია — არა უმეტეს 8 კაცისა. ამასთან აუცილებლად დაცული [illegible]ნება პირობა — ყოველ მსმენელს ცალკე პერსონალური კომპიუტერი.

სწავლების ვადა და პროგრამა განისაზღვრება ჯგუფის წევრთა ინტერესებით და საწყისი მომზადებით. სწავლებას გაუძღვებიან უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტები.

სწავლების კურსის გავლის შემდეგ ახალბედებს შეეძლებათ დამოუკიდებლად მუშაობა ყველაზე თანამედროვე კომპიუტერზე, ხოლო მომზადებულ მომხმარებელს შეეძლება შეისწავლოს: ტექსტური რედაქტორები, სერვისული პროგრამები, ელექტრონული ცხრილები, დაპროგრამების ენები, მონაცემთა ბაზების მართვის სისტემები, გრაფიკული პაკეტები, სტატისტიკური პაკეტები და სხვა.

კურსის გავლის შემდეგ მსმენელებს შეეძლებათ შეიძინონ მათ მიერ შესწავლილი პროგრამები ჩაწერილი მაგნიტურ დისკოზე შესაბამისი აღწერით.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ: თბილისი, 9 აპრილის ქუჩა №6, სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტი, მსს „ბიზნეს-ინფორმატიკა“, ტელეფონები 93-77-19, 93-76-47.

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი“

## გიწვევთ ექსტრასენსი

ექსტრასენსმა **ლუიზა ნიკოლოზის-ას ბენდიაშვილი-ლილუაშვილმა** სამკურნალო მაგნეტიზმის კურსის შესწავლა, ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრის, მაგნიტური ბიოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელის ბ-ნ რევაზ ხომერიკის ლექციებით დაიწყო, შემდეგ დაამთავრა მოსკოვის ხალხური მედიცინის ფონდის ექსტრასენსორიკის უმაღლესი სკოლა, აითვისა ფსიქოთერაპია-სამკურნალო ჰიპნოზი, რითაც მიეცა უფლება ბიოველის კორექციის სარეაბილიტაციო სეანსების ჩატარების. არის ხალხური მედიცინის უნივერსიტეტის მე-2 კურსის მსმენელი, სულიერი აღორძინებისა და ჰარმონიული განვითარების ასოციაციის წევრი.

შთაბეჭდილების წიგნში მადლიერების მრავალ სიტყვას ამოიკითხავთ: „მადლობელი ვარ, აღარ მაწუხებს გული,“ „ვსუნთქავ თავისუფლად,“ „მომეხსნა შიშები,“ „გამიუმჯობესდა ძილი,“ „აღარ მაწუხებს თავი,“ „ვარ დამშვიდებული,“ „განვთავისუფლდი ზოსტერ ჰერპესით გამოწვეული ტკივილებისაგან“ და სხვა.

მისი მაღალი ეფექტური ბიოველით ხდება ზუსტი, უტყუარი დიაგნოზის დასმა და შემდეგ მკურნალობა.

მკურნალობისას იყენებს დამუხტულ წყალს, წერტილოვან მასაჟს იაპონური და ჩინური მეთოდებით.

ქ-ნი ლუიზა მკურნალობის დროს აქტიურად იყენებს ფსიქოთერაპიული მკუნალობის მეთოდებს.

**იგი წარმატებით მკურნალობს: კბილის, ყელის, თავის ტკივილებს, თვალის დაავადებას, თავის ქალის შიდა წნევას, ნევროზებს, დიაბეტს (საწყისი ფორმა), ნაღრძობს, მიოზიტს, გულის ზოგიერთ დაავადებას, ქრ. ქოლეცისტიტს, შარდის ბუშტის ანთებას, თირკმელებს, მენისკს, შიშებს, უძილობას, კუჭ-ნაწლავს (მათ შორის წყლულებს), დამწვრობას, ზოსტერ ჰერპესს, რადიკულიტს, ოსტეოქონდროზს და სხვა.**

ქ-ნი ლუიზა პაციენტებს მიიღებს დროებით ბინაზე, ყოველდღე, გარდა კვირისა და ორშაბათისა (დღეში არაუმეტეს 4-5 პაციენტისა) $18^{30}$ სთ-დან — $20^{30}$ სთ-მდე.

პაციენტები მიიღება — 65 წლის ასაკამდე,
მიღება ხდება წინასწარი ჩაწერითაც.

ცნობებისათვის დარეკეთ — დასვენების დღეების გარდა, ყოველდღე $20^{30}$სთ-დან $21^{00}$სთ-მდე. ტელეფონი: 37-44-71.

მისამართი: კრონშტადტის ქ. №88 (ინფექციურ საავადმყოფოსთან).

პირველადმა პაციენტებმა უნდა წარმოადგინონ პასპორტი და დაავადების შესახებ საექიმო დასკვნები. (პასპორტის გარეშე პაციენტები არ მიიღება).

## იყიდება

პრინტერები: ADMATE DP-1480 (ფართო),
STAR 4C-15 multi-font (ფართო),
ASI MICROLINE 193 (ფართო),
CITIZEN 120D (ვიწრო),
CM 6325.01 (EC 1840-თვის) 5 ცალი.

დისპლეების კომპლექსი: EC-7920.01.

EC-1045-ის პროცესორი,
ცალკეული ბლოკები და მოწყობილობები.

**ფასები შეთანხმებით**

კოლექტიური სარგებლობის საინფორმაციო გამოთვლითი ცენტრი.

მისამართი: წერეთლის 130, ტელეფონი 35-26-44

## 9 აპრილს მოწამლულთა დახმარების კომიტეტის მიმართვა

9 აპრილს მოწამლულთა დახმარების კომიტეტი მოგმართავთ თხოვნით, რათა დახმარების ხელი გაუწოდოთ 9 აპრილს მოწამლულ ავადმყოფს 18 წლის ნინო ვიქტორის ასულ მჭედლიძეს, რომელსაც სასწრაფოდ ესაჭიროება ოპერაციის გაკეთება ამერიკის შეერთებული შტატების ქ. სიეტლის კლინიკაში.

დიაგნოზი: მწვავე ლეიკოზი.

მის სახელზე ჩუღურეთის რაიონის შემბანკის №°528/017 ფილიალში გახსნილია კერძო ანგარიში და წიგნაკი.

ანგარიშის ნომერია: 000164701

წიგნაკის ნომერია: 41810

ასევე გახსნილია საქ. საგარეო ეკონომბანკში სავალუტო ანგარიში.

ბანკის რეკვიზიტებია: ფონდი „ბანკირი“ საქ. საგარეო ეკონომბანკი

ანგ. № 670802600 მფო 805227

წინასწარ გიხდით მადლობას.

საქ. ეკონომიკური აღორძინების
კავშირისა და 9 აპრილს მოწამლულთა დახმარების კომიტეტი.

ასოციაცია „აღორძინება“
ფირმა „არგო“

მიმდინარეობს მიღება მსუბუქი ავტომანქანების მძღოლთა მოსამზადებელ კურსებზე.

კურსების გადასახადი შეუმცირდებათ იმ მსმენელებს, რომლებმაც იციან ავტომანქანის პრაქტიკული მართვა და ვინც მოიტანს საჭირო რაოდენობის ბენზინს.

საბუთების შემოტანა და ცნობებისათვის დარეკვა შეგიძლიათ ყოველდღე, გარდა უქმე დღეებისა საღამოს 4 სთ-დან 7 სთ-მდე.

**მისამართი: გლდანის მე-3 მ/რ. კორპუსი 74ა.**

**ტელეფონი: 68-39-30.**

ვცვლი,
ოროთახიან იზოლირებულ ბინას 32 კვ. მ ფართობით, ორი ღია აივნითა და ტელეფონით ქობულეთიდან თბილისში. ცნობებისათვის დარეკეთ:
38-99-86
29-37-40
თბილისი.
იკითხეთ მარინა ან სოსო.

ვცვლი ერთოთახიან იზოლირებულ ბინას საბურთალოდან ერთოთახიანზე, ოთახნახევრიანზე, ოროთახიანზე საბურთალოზე ან ვაკეში.
დარეკეთ: 31-26-27, 37-13-58.

ვყიდი ახალ სარეცხ მანქანას „ვიატკას“.
ცნობებისათვის დარეკეთ ტელ-ზე: 31-26-27, 37-13-58.

ვიზების სათარგმნელად მიმართეთ ფირმა „ჰუმანიზმის“ სერვის ბიუროს. ვიზების თარგმნა და დამოწმება ხდება ერთ დღეში. აქვე შეგიძლიათ შეიძინოთ გამგზავრებისათვის საჭირო ანკეტები და ვიზების ქსეროასლები. მისამართი: ლერმონტოვის ქ. №19 (თავისუფლების მოედანთან), ტ. 99-20-76, $19^{00}$-$18^{00}$ სთ-მდე, ყოველდღე გარდა კვირისა.
„არგო-ბლიკი“

სრულიად საქართველო
Общественно-политическая газета

ტელეფონები: მისაღები — 93-97-31;
პასუხისმგებელი მდივანი — 93-81-56;
წერილების განყოფილება — 99-00-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

რედაქტორი
მერაბ გალარჯიშვილი

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა თბილისი, მ. კოსტავას 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში ხოშარაულის 29.
1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15.
НАШ ИНДЕКС 66400

რედაქციის მისამართია
ქ. თბილისი — 380096
მ. კოსტავას ქ. № 14.